

# ჩვენი მწერლობა



გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

12 ივნისი 2009



№12(90)

1516  
2009



მსახიობი — მწერლის თანაავტორი  
ახალი კრიტიკა და მისი შედეგები  
დიალოგი ქეთევან შენგელიასთან  
დრიუონის ბედნავსობის იმედით  
დემოკრატიზმი არისტოკრატისა  
ნუნუ ჯანელიძის ლექსები  
კავაფისის გულის ეპოსი  
გელა ჩქვანავას ნოველა

# წიგნის თარო







# შინაარსი

ერო და პავლიონი	2	დავით სანდოძე შინაარსის იდეა XX საუკუნის საქართველოში
მხარე-ინტერიერი	4	დიანა ანთიმიადი შიგნაპირი სპეციალური (მოამზადა ნატა ვარადაძე)
არხი	5	გელა ჩქევაძე ავტორისტიკა
პროზა	11	ნუნუ ჯანელიძე ერთი დღისათვის ვისთვისაც ყველა
სურათის სინტეზი	15	ვერჯილ ნემოიანი ახალი კრიტიკა და მისი შედეგები
ფილმი	18	„სინტეზის უდავო ვიზუალური საპროექტული“ (თამარ შიშხელიძის ესაუბრება ქეთევან შენგელია)
ფოტო და დეკორაცია	21	გივი ალხაიშვილი მომავალი ნარსული
არქიტექტურა	30	რიტა ბაინდურაშვილი მსახიობი — მხარის თანავტორი (ნინელი ტანკვეტაძის მიერ ნაკეთებული „შევი ჯოხი“)
ახალი ნიშნები	33	გია ხოფერია გაზაფხული ნისლიდან ნამომდებარე რინდო (ელგუჯა თავბერიძის ბიოგრაფიული რომანი დავით მიქელაძეზე)
კრიტიკა	37	მარინე ტურაბა რეზონანსი ჩვეულებრივი სიკვდილი? 41 კახაბერ ლორია ნიშნული ჩრდილი
ნათარქიტექტურა	50	თავალი აუზიდან სტუმარი
დაპროექტირების სინტეზი	51	როსტომ ჩხეიძე დემოკრატიზმი არისტოკრატიისა ფრაგმენტი ბიოგრაფიული რომანიდან „მეზვერი თიბათის მზეში (მიხაკო ნერეთლის ცხოვრების ქრონიკა)“
პროზის მერიდიანი	55	კონსტანტინოს კავაფის გული აკონი და სხვა ლექსები
სურათი ნიშნები	58	მორის დროუნი გადნახვის იდეები
გაზაფხული	62	ლუკა დვალისხელი ალბერტ მაინი
პროზა	63	მინარის — გიგანტი

ორკვირული ჟურნალი  
დამფუძნებელი „ილიონი“  
მისამართი: თბილისი,  
ჩუბინაშვილის №41  
რედაქცია - (995 32) 96-20-62  
რეკლამა - (995 93) 65-93-68  
გაერცელება - (995 99) 41-95-21  
ფაქსი: (995 32) 96-20-62  
E-mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი - როსტომ ჩხეიძე  
პროზის რედაქტორი - ივანე ამირხანაშვილი  
პოეზიის რედაქტორი - მაკა ჯოხაძე  
კრიტიკოსი და თარგმანის რედაქტორი - თამაზ ნატროშვილი  
მხატვრული რედაქტორი - კარლო ფაჩულია დიხანიერი - მალხაზ იაშვილი  
სტილისტი-კორექტორი - ნინო დეკანოიძე დაკაბადონება - თენგიზ რობიაშვილი  
ოპერატორი - თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი - ეკა ბუჯიაშვილი  
გაერცელების სამსახური - ლევან კიკნაძე



გარეკანზე: ზაფხული პეპელას ფრთებზე  
მურმან ჩაჩუას ფოტოგრაფია

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 26 ივნისს



დავით სანდოძე

## მონარქიზმის იდეა XX საუკუნის საქართველოში

1800 წლის 28 დეკემბერს გარდაიცვალა ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე გიორგი XII (ზოგ წყაროებში გიორგი XIII). მისმა უფროსმა შვილმა, საქართველოს მმართველმა — დავითმა, 1801 წლის 8 იანვარს, რუსეთთან შეერთების აქტს მეფის ტიტულის გარეშე მოაწერა ხელი.

1801 წლის 18 იანვარს კი პეტერბურგსა და მოსკოვში გამოქვეყნდა იმპერატორ პავლე I-ის მანიფესტი, რომლის ძალითაც ქართლ-კახეთის რუსეთის გუბერნიად ცნადგებოდა. იმავე ხანს დაიწყო რუსთა მიერ ბაგრატიონთა გადასახლება რუსეთში. საქართველოს სამეფო საგვარეულოს ჩამომავალთა გადაყენა რუსეთის ქალაქებში მიმდინარეობდა 1800 წლიდან 1842 წლამდე. პირველი თაობის წარმომადგენლები ოფიციალურად „ქართველ ბატონიშვილებად“ იწოდებოდნენ, ამ თაობაზე 1861 წლამდე იარსება, ვიდრე უკანასკნელი ბატონიშვილი მიხეილ გიორგის ძე გარდაიცვლებოდა.

რაც შეეხება იმერეთის სამეფოს, რუსებმა 1810 წელს მოტყუებით შეძლეს იმერეთის უკანასკნელი მეფის სოლომონ II-ის დატყუება და თბილისში ჩამოეყანა, მაგრამ იმავე წლის 11 მაისს სოლომონი გაიქცა და დაიწყო შვიარალეული აჯანყება სამეფო ტახტის აღსადგენად. რუსეთის მთავრობამ სამეგრელოსა და გურუის მთავართა მიერ გამოყვანილი რაზმებით მალევე შეძლო იმერეთის აჯანყების ჩახშობა სისხლში და იმერეთის სამეფო საბოლოოდ გააუქმა. დევნილი სოლომონ II ოსმალეთს შეეხიზნა, სადაც უშეძლიროდ გადაეგო კიდევ 1815 წელს.

მას შემდეგ მთელი XIX საუკუნის განმავლობაში რუსეთის თვითმპყრობელობა ყველანაირად ხელს უშლიდა ქართველ ხალხს, რომ მთელი სურათი უბოლობით დაესვა სამეფო ხელისუფლების აღდგენის საკითხი.

1832 წლის შეთქმულებაში საქართველოს მომავალი სახელმწიფოებრივი წყობილების შესახებ ერთსალოცეუბა არ ყოფილა. შეთქმულნი მსჯელობდნენ პარლამენტის, რესპუბლიკისა და მონარქიის შესახებ. რადიკალური მონარქისტული განწყობილებით გამოირჩეოდნენ ელიზბარ, გიორგი და დიმიტრი ერისთავები, ამ ფაქტს ადასტურებდა თვით თამარ ბატონიშვილიც, რომელიც დაახლოებული იყო ალექსანდრე ორბელიანთან და ელიზბარ ერისთავთან. რამდენადაც შეთქმულებაში მონაწილეობდნენ ბატონიშვილები, თავადები და სხვა მაღალი წოდების წარმომადგენლები, ამდენად მისახვედრია მათი ეს მისწრაფება, მონარქიული მმართველობა მათთვის უფრო გასაბეჭად და მისაღები იყო. მათი აზრით, საქართველოს მეფეს მხარს დაუჭერდა თავადზნაურობა და გლეხობაც, ამასთანავე მოგერდებოდა ერთმეფობის აღდგენა და ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანება.

1832 წლის შეთქმულთა შორის იყვნენ მოღვაწენი, რომლებიც მხარს უჭერდნენ ქართული სიძის შემოღებას

პოლონეთის მსგავსად. 1830-1831 წლების პოლონეთის აჯანყების შეთქმულნი ბევრ რამეში ჰმავებდნენ — სიძის მმართველობის მიხედვით სამეფო ტახტი მეტეფერეობით მაზიდან შეიღებ არ გადადიოდა და შეიღებოდა ბატონიშვილთაგან რომელიმე სასურველი ანდრიატის არჩევა. სიძის შემოღების აზრს უმრავლესობა არ შეემხრო და იგი არ იქნა მიღებული.

პარლამენტის წყობის პროექტი 1832 წლის ნოემბერში შეადგინეს ელიზბარ ერისთავმა და გიორგი ერისთავმა. შეთქმულებმა მიიღეს ეს პროექტი, რომლის მიხედვით უნდა იმარსებოდა ქვედა და ქვედა სამმართველოები. ზედა მმართველობაში თავმჯდომარე იქნებოდა მეფე — ალექსანდრე ბატონიშვილი (ერეკლეს ძე), ნევერბად კი მინისტრები — სამხედრო მინისტრი, ოუსტიციის მინისტრი, ფინანსთა მინისტრი, მინაგან საქმეთა მინისტრი, განათლების მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი. ქვედა სამმართველო დეპუტატებისაგან უნდა შემდგარიყო აღნიშნული პროექტი მეზუდულ მონარქიულ წყობილებას გულსინობდა, მეფე მონარქი სამეკვიდრეო უფლებებს ინარჩუნებდა, მაგრამ არა დესპოტურს.

1832 წლის 9 დეკემბერს თავიდა იასე ფალავანიშვილმა შეთქმულება გასცა და შეთქმულები დააპატიმრეს.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში თვით დიდი ილია ჭავჭავაძესაც არ დაუწყებია რეალურად საქართველოს სამეფოს აღდგენის პერსპექტივა, თუმცა კი მხატვრულ ნაწარმოებებში რომანტიკულად და პერიოკულად აღწერდა მას.

XX საუკუნეში განვითარებულმა მსოფლიო პოლიტიკურმა მოვლენებმა საქართველოს პოლიტიკურ სიტუაციასზეც მკვეთრად იმოქმედა და საუკუნის დასაწყისში წარმოშობილ სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიების წარმოადგენლებთან ერთად, ქართველი მონარქისტებიც გაჩნდნენ. კერძოდ: 1914 წელს ყენევაში დაარსდა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, რომლის შემწის ინიციატორები იყვნენ: პეტრე სურგულაძე, მიხაკი წერეთელი, შალვა ივრიძე, გიორგი მაჩაბელი და ზო-ზეგ აბაშიძე. მათ გერმანიასთან დაამყარეს კავშირი და იმპერატორ ვილჰელმ II-საც შეხედნენ, რომელსაც სურდა I მსოფლიო ომში ამირკავკასია რუსეთის სანაზამდევრო პლაცდარმად გამოეყენებინა. ქართველმა პოლიტიკოსებმა, რომელთა რიგებში სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლებიც იყვნენ, საქართველოს ტახტზე ვილჰელმ II-ის შვილის — ოიანიშ პოენცილოურის დასმაც კი მოსურვენი და მის საცოლედ თავად მიხეილ მაჩაბლის მშენიერი ასული — მარიამიც შეაჩვიეს.

ასე რომ, მეფე გერმანელი, დედოფალი კი — ქართველი. მაგრამ ქართველთა ამ უტოპიურ-ლავადროვან ოცნებებს ხელი შეუწავდა თურქეთმა, რომელიც გერმანიის მო-



კაჟმირ იყო ამ ომში და თვითონ ჰქონდა ინტერესები და ამბიციები მიიღეს კავკასიაში. მათ ჩამოეს ქართულ-გერმანული მოლაპარაკებები. გიორგი მაჩაბელმა სცადა შეექმნა მონარქისტული მიმართულების „ეროვნული კომიტეტი“, მაგრამ წამოწყება ვერ განხორციელდა, რადგან I მსოფლიო ომის ბოლო პერიოდში საქართველოს საზოგადოებაში სოციალ-დემოკრატიული გავლენა ჭარბობდა.

1918-1921 წლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის ფაზა „შენშევიკებს“ კრინტიც კი არ დაურჩავთ მონარქისტულ ნიჟაზე. პირიქით, მათ კონსტიტუციითაც კი აკრძალეს ეს საკითხი. რაც შეეხება 1921 წელს შემოსული ბოლშევიკებს, — ისინი პირნიწინად ანადგურებდნენ მათ, ვისაც ამგვარი პრობლემები აწუხებდა.

გარკვეული შეხედულებანი ამ საკითხზე არ ჰქონიათ არც 1924 წლის დამარცხებული აფანაყების ქართველ მოღვაწეებსაც.

რაც შეეხება ამ პრობლემას II მსოფლიო ომის პერიოდში, ერთნისშეგნებულად უნდა ითქვას, რომ შიტლერს, განსხვავებით ვილჰელმ II-ისაგან, რუსეთის იმპერიის სიერცეზე აწუ საბჭოთა კავშირში, არანაირ ალტერნატიულ ხელისუფლებათა შექმნა არ უფარაუღია. მან პირდაპირ დაინიშნა თავისი წარმომადგენელი რედოლფ შიკედანსი — ჯერ კიდევ დაუყოფნებელ საქართველოს მმართველად. ხოლო საქართველოს მოსახლეობას ურალს იქით გადასახლებას უპირებდა. შიტლერის ეს მისწრაფებანი იოსებ სტალინიმ დასაძარა ყველანაირ არაკომუნისტურ პოლიტიკურ მიმართულებებთან ერთად. ისე რომ, მონარქიაზე ლაპარაკ ვინორწებდაც კი ერთდებოდნენ და ეს პრობლემა ისე მიწუმათადა, რომ 70-იანი წლების თბილისში ბევრმა არც იცოდა, რომ პოპულარული პოეტურ პეტრე გრუზინსკი ქართველი სამეფო მტრის-ერთი ბოლო წარმომადგენელი იყო.

XX საუკუნის 80-იან წლებში საბჭოთა კავშირში „პერესტროიკა“ და „დემოკრატიზაცია“ დაიწყო. ეს პროცესი მოილიანდ შეიბო საქართველოსაც და 1989-1992 წლებში წარმოიბოლო პოლიტიკურ პარტიებს შორის მრავალდ იყენენ სამეფო ხელისუფლების აღდგენის მომზერნიც.

1990 წელს, ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე — ოთარ ჩხვიტი წერდა: „პარლამენტური სამეფო ხელისუფლება აღადგენს დიდხა და საამაყო ტრადიციებს საქართველოს სახელმწიფოებრიობისა.

შექმნის სამართლებრივ საფუძვლებს დამოუკიდებლობისა და უზმპროეობისა.

განათავისუფლებს ხალხს იმ წინააღმდეგობებისაგან, რაც შეიძლება მოჰყვეს ბრძოლის მეფის სანაცვლო სახელისუფლებო თანამდებობისათვის.

სულიერად აღამალებს ორასწლოვანი მონობისაგან დაბეჩავებულ ადამიანებს.

დროულად გამოიყენას საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე, როგორც თანასწორუფლებიან პარტნიორს დინწანურებელი ქვეყნების, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული შესაძლებლობებით“ („ლიტერატურული საქართველო“, 40).

90-იან წლებში მონარქისტული საკითხის შესახებ „ილენოდნენ“ ისეთი პოლიტიკური გაერთიანებები და პარტიები, როგორებიც იყენენ: „მონარქისტული“, „ტრადიციონალისტური“, „მონარქისტულ კონსერვატორული“, „მონარქისტულ რადიკალური“, „როიალისტური“, „კონსერვატორული“, „სამეფო დარბაზი“, „თავადაზნაუერთა ლიგა“ და სხვა. ქართველმა მონარქისტებმა, ტახტის მემკვიდრეებიც კი აღმოაჩინეს იტალიისა და ესპანეთში, რომლებთანაც კონტაქტები საქართველოს იმდროინდელი მთავრობების წარმომადგენლებმაც კი დაამყარეს. მოკლედ და თემა შეტად აქტუალური ეს მოვლარული გახდა 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისის საქართველოში. აღსანიშნავია, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის სიერცეზე, ანალოგიურ მოვლენას ადგილი ჰქონდა თვით რუსეთსა და მოღდავეთში. ხშირ შემთხვევაში ეს თემა პოლიტიკური მარტატანების ხელის მოსათბობ საშუალებასაც წარმოადგენდა.

1992 წელს მოსკოვიდან, ხელისუფლებადამხობილ საქართველოში, „დემოკრატიის ახალრბინებლად“ ედურად შეგარდნაძე გამოვიდა, რომელმაც თავისი მმართველობის პერიოდში ისეთი ცხოვრება შექმნა, რომ შიმშილითა და სიცივით მოღასლებულ ქართველობას შეეფ და მისი ნაზირ-ვეზირები კარგა ხნით დაავინყა.

ამრიგად, როგორც XIX საუკუნეში, XX საუკუნეშიც მონარქიზმის აღდგენის პერსპექტივებმა სრული ფასიკო განიცადა, მითუმეტეს, რომდასც მონარქიზმის საკითხი არ განიხილება არც 1995 წლის კონსტიტუციამ.

2008 წელს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიერ ბაგრატიონათა დინასტიის აღდგენისა და კონსტიტუციური მონარქიის დამყარების იდეის მოწოდება ახალ იმპულსს შესწინა აღნიშნული პოლიტიკურ საკითხს, რომელიც პერმანენტულად ყოველთვის იჩენდა ხოლმე თავს ქართველი ხალხის ცხოვრებაში.

პატრიარქის მოწოდება 2009 წლის თებერვალში ბაგრატიონთა შორის დინასტიური ჭორწინებით დაგვირგინდა, თუცა საქართველოში ამ პროცესებს რაიმე პოლიტიკური ცვლილება არ გამოუწვევია.

როგორი იქნება პერსპექტივა, ამაზე პასუხს XXI საუკუნე გასცემს, რომელიც საქართველოს სხვა მრავალი პრობლემის გადაჭრაც მოუწევს.



2007

საქართველოს  
პარლამენტის  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

დიანა ანფიმიადი

# შეცვალა სამყარო



- თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებულ მდგომარეობა?
- როცა აღარცერთი იდეა აღარ მოგდის თავში.
- სად ისურვებდით ცხოვრებას?
- შაპუა ახალ გვინებაში და ადამიანებს ადამიანების ქამის გადაყვავებდით.
- რა არის უმაღლესი ბედნიერება?
- როცა გული გისკდება სიყვარულისგან.
- თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?
- პატარა პრინცი, ლიონბერგელი ემილი, ულენ-შპიგელი, მირ, ასანთის გამყიდველი გოგონა ანდერსენის ზღაპრიდან.
- თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?
- იოანე ნათლისმცემელი
- თქვენი საყვარელი მხატვარი?
- მარკ შაგალი
- თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?
- სერგეი რახმანინოვი
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?
- საკუთარი თავის პატივისცემას
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?
- საკუთარი თავის პატივისცემას
- რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მთავარი?
- შემწყნარებლობა და სიყვარული
- თქვენი საყვარელი საქმიანობა?
- ავიღოთ ორაგული, გავწმინდოთ, ცოტა ხნით ჩავდეთ თეთრი ლვინის მარინადი, მერე ამოვღოთ, შევპაროთ, დავამარილოთ, ნაუსკვით რომზარინი და ორგანო, მოვახაბთ ზეთი და ლიმონის წვენი, შევახვიოთ ფოლგამი და შევამბრანოთ აირლუშელში. ისე კი, ტყე-ღრეში ბოდილი.
- თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?
- ბილ გეიტსი ან დალია ლამა.
- თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?
- საკუთარი თავის და სხვების სიყვარულის უნარი
- რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?
- საკუთარ თავს
- თქვენი მთავარი ნაკლი?
- აფექტურობა და სიზარმაცე
- თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?
- სრულიად წარმოუდგენელი წარმოდგენა მაქვს.
- რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?
- ის ბევლად რომ არ არსებობდეს, რომელსაც დღეს განსაკუთრებულ საქმეს გადააბარებ.

- როგორი გინდობდათ ყოფილიყავით?
- ათი სანტიმეტრით მაღალი და ცისფერთვალება.
- თქვენი საყვარელი ფერი?
- ლურჯი.
- ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?
- ქოთნის ია.
- თქვენი საყვარელი ფრინველი?
- საბავალი იხვის ქუჩი.
- თქვენი საყვარელი მწერალი?
- ჯემალ ქარჩხაძე და ხორხე ლუის ბორხესი
- თქვენი საყვარელი პოეტები?
- სილოა პლითი, ფორულ ფაროზხადე, მარინა ცვეტაევა, ენ სევსტონი, მაია სარიშვილი და კიდევ ჩემი მეგობრები.
- საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?
- პეტი, ანიკა, რონია, მადიქენი, მალენი, ჩორენი... და კიდევ, ნაგელის სატრფოს რა ერქვა?
- საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?
- ჩემი ძვირფასი მეგობრები
- საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?
- ელდედ დედოფალი - დავით აღმაშენებლის დედა.
- საყვარელი სახელები?
- დიმიტრი, დიანა, ალექსანდრე, ანასტასია, თომა.
- რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?
- აჭირლ რძეს, ამაღლებულ კარაქს, დაობებულ მურს, გააცივებულ ჩაის, არეულ სახლს, დაკუჭულ ტანსაცმელს, ჩამოხვეულ ფარდებს, დამლაშებულ სადილს - ცხოვრებას გემოს, ხმების, ფერების და ადამიანების გარეშე.
- ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?
- რომის იმპერატორი ნერონი
- საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მებრძოლები აღტაცებისა?
- ქალისა და მამაკაცის ბრძოლა... სანოლში.
- რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმადლეს შეფასებას აძლევთ?
- ხსნადი ყავის გამოგონება
- ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?
- ყველა ნიჭს ვფლობ ამ ნიჭის გამოყენების ნიჭის გარდა.
- როგორი გინდობდათ რომ მომკვდარიყავით?
- ცოცხალი.
- თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?
- „გუნდში ყველაზე თეთრი მტრედი აფრინდა, მყავხარ“ (ცელანო).
- ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?
- ყველა ის ქმედება, რომელიც ღმერთის შემწყნარებლობას იმსახურებს.
- თქვენი დევიზი?
- თუ არ შეგიძლია საკუთარი თავის შეცვლა, შეცვალე შენი გარემომცველი სამყარო.

ქვეყანა-ინტერვიუ  
12.06.2014



გელა ჩქენავა

## აზერისტები

1.

გაზაფხული მოდიოდა, ზღვა, როგორც დრო ბასი-  
ლაია გაიხურებდა ხოლმე, ნაპირს „ფოპა კ სტენკეს“  
ეთამაშებოდა და მშრალი ანგარიშით უგებდა; საუკუნის  
წინათ მისგან აზოლბულ წიგარებშიც კი ჩვეულებრივ  
ომბიანად შიშინებდა ხოლმე, როგორც ბნელ სარდაფში  
შენახული თვისი იწყებს გამოლეძებასა და გალივბას  
მამინ, როცა თვისის დრო დგება; მამაკაცები ქალებს  
უფრო გულმოდგინედ უთავლიერებდნენ მკერდსა და  
თქორებს; დაბაბულ ქალებს დიდი ძალისხმევა  
სჭირდებოდათ, რომ უტიფარი მზერის აბეზარი  
პატრონისთვის მზარზე გადაკიდებულ ხელჩანთაზე  
ჩამოდებული ხელით სილა არ გაენათ და იმ ხელით  
ხელჩანთას აგერსიულად ჩამოქაჩავენდნენ ხოლმე —  
ამიტომაც იყო, რომ წელიწადის ამ დროს ქალებს გვე-  
ლაზე ხშირად უწყდებოდათ ხელჩანთის ღვედები;  
სანაპიროს ქუჩის ფოსტალიონის ჩანთა კი  
ჩვეულებრივზე უფრო მძიმდებოდა, იმიტომ, რომ ტურ-  
ისტები ქალები წინა საკურორტო სეზონის ტემპერამენტ-  
თან კავარლებს თავიანთ ცივი სამშობლოდან  
ოთხგვერდიან წერილებს წერილებზე უფაზენდნენ,  
რომლებშიც მათ შეასხენებდნენ წინა წლის დანაპირებს,  
რომ მომავალ ზაფხულს თავიანთ ზღვისპირა ქალაქში  
დაბარებდნენ და ინგლისის დედაფოლის საკადრის  
ფუფუნებაში აცხოვრებდნენ.

გაზაფხული მოდიოდა და ზღვის იოდითა და  
მარილით გაჯერებული ზღვისპირა ქალაქი მაჭაროვით  
დღლილს იწყებდა.

სანაპიროს ქუჩის ფოსტალიონი, ცალზელა თენგიზ  
ქაჯაია, რომელიც, გარდაცვლილ შვილზე დარდის  
გასაქარებლად, სამუშაოსაგან თავისუფალ დროს  
თავისი ცოლის მიერ მოქმენებულ ხუთ ბოცვრის რუბ  
მეგლეზე უყვებოდა ზღაპრებს (სწორედ იმითა, რომელსაც  
თავის დროზე გარდაცვლილ შვილს უყვებოდა ძილის  
წინ), ხოლო ცოლს კი ხუთი ბოცვრის ხასიათს დიდის  
მწოდებდნენ ალუნგრდა, მაგრამ მაინც ვერ დააჯერა,  
რომ ისინი, ისევე როგორც ადამიანები, ერთმანეთსაგან

გელა ჩქენავას ამ ახალ ნოველაში კვლავ შეხვდებით მის ძველ პერსონაჟებს, იმ კოლორი-  
ტულ, გამოკვეთილ ხასიათებს, რომელთაც ვერც მწერალი ელვა და ვერც მკითხველი.

ამიტომაცაა, ყოველთვის მათ ახლებურ გაელვებას რომ ველოდებით. გარეგნულად ბანალურ-  
ი სიუჟეტი ამჯერადაც იმ მახველონიერულობითაა განმსჭვალული და იმ იუმორით სუნთქავს,  
რაც ასე სახალისოს ზღის მწერლის ტყვილიან, ფარული სვედით გაელვნილ ამბებს. ეს ამბები  
კი იმ დიდ მონატრებითაა ნასაზრდოვებ, რაც აიძულებს, გონების თვალით ნაბიჯ-ნაბიჯ შემოი-  
კროს სიხუში და ხელშეასხებულ ადადგინოს ის დეკორაციები, რომელიც მისთვის გასაუხერებელ-  
ლია და წერილობაზეც მძაფრად განაცდევინებს იმ ინტიმს, რომლის უყურადღებოდ მიტოვება  
მწერალს არ ეპატიება.

და გელა ჩქენავა ამიტომაც ცდილობს „ბანალურბა“ და „წერილობაზე“ ისტატურად შემო-  
სოს ანდავიდობატურული საშობით.

ეს მარჯვედ მიგნესხებული საშობი კი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ მისი სიხუმერი ციკლი  
ჯერაც ამოუნურავია.

სრულიად განსხვავებული არსებები იყვნენ, მეტად პუნქ-  
ტუალური კაცი გახლდათ — არასოდეს დაგვიანებია  
გაზეთების დარიგება. გაზაფხულის ერთ დილას კი ფოს-  
ტიდან სანაპიროს ქუჩისკენ გაჩქარებული ნაბიჯებით  
მიმავალს გზა სპორტულ შარვალსა და პიჯამოში  
გამოსწყობილი ბიჭმა გადაუტყრა და მოკრძალებულად  
გაუღიმა.

— თქვენ ხომ სანაპიროს ქუჩის ფოსტალიონი  
ბრძანდებით? — შკითხა სპორტულტანსაცმლიანმა  
ახალგაზრდამ ფოსტალიონს და კიდევ ერთხელ გაუღიმა.

— მეც ხომ მიცანით?

ფოსტალიონმა ახალგაზრდა, ძველი ნაცნობივით  
რომ უფილოდა, დაკვირვებით შეათვალიერა და მიხედა,  
მისთვის რომ ეთქვა: ვერ გიცანიო, — ძალიან დანწყევტდა  
გულს.

— რამდენჯერ გინახივართ ოტია პაქკორიას სახლში,  
ოტია ბიჭის, კახას მეგობარ ვერ მე, როგორცუღი.  
ვარჯიშზე მუქქარება ახლა ძალიან. აი, ამ კონვერტს ხომ  
ვერ მოუტანდით კახა პაქკორიას?... გაზეთები უნდა  
დარიგოთ მინც, — სიხოვა სპორტულტანსაცმლიანმა  
ბიჭმა ფოსტალიონს და პაქკორიას შიდა ვიბიბდა წერილი  
ამოიღო. — რამდენჯერაც კახასთან ვიყავი სტუმრად,  
თითქმის იმდენჯერვე შეხვდით ერთმანეთს, ხან გზაზე,  
ხან თქვენს ქოშქართან და ხან კიდევ თუთიონ ოტია  
სახლშიც, მაგრამ, ეცყობა, ვერ მისხენებო.

ფოსტალიონმა ახალგაზრდას მოლოდინი ვერ გაუნ-  
ბილა და ელენენტებდამწვევარი ფოტოაპარატის პელიო-  
გრაფივით მიმჭრალი ღიმილი შეანათა.

— ეცყობა ვაგახსენდით! — ნამოძახა ფოსტალიონ-  
ის ღიმილის მოკრძალებულ ულუფას დაჯერებულმა  
ახალგაზრდამ. — შარმან მე და კახა პაქკორია ორ რუს  
ტიტისტ გოგონასთან მეგობრობდით. დები იყვნენ,  
თანც ტყუპები, ჰოდა, ჩემს მეგობარ გოგონას ჩემთვის  
დაწერილი წერილი კახასთვის ვასაგზავნ კონვერტში  
ჩაუდგია შემთხვევით და პირიქით: კახას მეგობარ გოგო-  
ნას ჩემი მისამართი რომ ეწერა, იმ კონვერტში ჩაუდგია  
კახასთვის მიწერილი წერილი... ჰოდა, ძალიან თუ არ  
შენახვდებით, კახას გადაცვით ეს წერილი და ასე  
უთხარიო, ჩემი წერილი სახლში გამომიტანოს, როგორც  
კი მოიცლის... კიდევ მაქვს ერთი თხოვნა, ოტია ბიძიან ან  
კახას დედამ არ ნახოს ეს წერილი, თუ შეიძლება.

— პაიტ, თქვე ეშმაკის ფეხებო! — ამჯერად ეშმაკური  
ღიმილით გაუბასბინდლდა ფოსტალიონი ახალგაზრდას,





მაგრამ როგორც კი მიხვდა, რომ თავისი „შეშაპის ფეხები“ ცოტა არ იყოს უხეშად გამოიყვდა, შაქარით დატკბა. — გეტყვით, უკმაღ არ ყოფილიყავით შარშან ზაფხულს... ეჰ, იყო დრო და მომენტები, როცა მეც არ ვიკლებდი მაგ სიამოვნებას... ზოდომი, შვილო, რომ ვერ გიკადრი, დაგებრდი უკვე და ჭადის კ არა, თვითონ სკლეროზის სახელიც მაინცდება ზოგჯერ.

— მაგი არაფერი, ხდება ხოლმე. მეც მომსკელია მასე, — თქვა ახალგაზრდამ და ფოსტალონის მხარზე დაჰკრა ნავარჯიშევი ხელი. — აბა, მე გაეჩქეცო, ევროპის პირველობისთვის ვემზადებით და, ვარჯიშზე რომ დავაგვიანო, გამრიცხავენ გუნდიდან მაშინვე. ისეთი მკაცრი მწვრთნელი გვეყავს, აუტანელი ხდება ზოგჯერ, მაგრამ რას იზამ, თუ ჩემპიონობა გინდა, მოთმინება უნდა შეგვეძლოს და დისციპლინის დამორჩილება. ასე არ არის?

— ასეა, — თითქმის მაშინვე დეთანხმა ფოსტალონი ჭკვიანმა და მკვირცხლ ახალგაზრდას და წერილი გამოართვა.

სპორტულტანსაცმლიანმა ახალგაზრდამ კიდევ ერთხელ გამოაჩინა თავისი ჭეჭეთა კბილები ღიმილის ნიშნად, შეტრიალდა და ზღვის სანაპიროსკენ დაუყვია ქუჩის ბუნძოლით. ფოსტალონი მას მანამდე გაჰყურებდა, სანამ თვალს მიეფარებოდა, მაგრამ მაინც ვერაფრით გაიხსენა მისი სახე, მწარედ ამოიოხრა და სანაპიროს ქუჩისკენ გაუყვია ზვას.

ფოსტალონი მთელი ორი კვარტალი სპორტულტანსაცმლიანი ახალგაზრდას ზრდილობიანი ღიმილით იღიმიებოდა, როგორც საყვარელი კინომსახიობის ღიმილი გადაეფენებათ ხოლმე უნებურად სახეზე მის ფანატ თავყანსმცემლებს, როცა კინოვარსკვლავის მიერ განასახიერებულ გმირებს იხსენებენ.

ორი კვარტალის იქით ფოსტალონი საკმაოდ ხმაშალადა შეაჩერა. მან უკან მოიხედა და მოულოდნელობისაგან ზრდილობიანი ღიმილი სახეზე შეამართ: ორ, საკმაოდ სოლიდურად ჩაქმულ მამაკაცს ხელემუკანგადადარებილი სპორტულტანსაცმლიანი ახალგაზრდა მოყავდა და თან ფოსტალონის ანიშნებდნენ, დაგველოცო. სოლიდურ მამაკაცთანვე ერის ცისფერ პერანგზე ველვეტის თილეთი მოყვან და ფოსტალონის ნიწაურულად უღიმიოდა; მთერე, მეტად მოდერ აბრეშუმის ჩაისფერ პერანგზე შინდისფერი პოჯიკი რომ ეცვა, ფოსტალონის არ უღიმიოდა, სამაგიეროდ, მეტად გულთბილი და ლამის შრურველი შურით უმსაპინძლდებოდა.

— ზოდომი, რომ შეგანსუბო! — შორიდანვე მომართა ცისფერპერანგინამა ფოსტალონის. — ოპერმუშაკები ვართ ჩვენ, ამას ალბათ თქვენც მიხვდით, როგორც სახეზე შეგატყვეო. ამ ახალგაზრდას თუ იცნობთ?

— წერილი გადმომცა ამ სამი წუთის წინათ, ჩვენი უბნის რწმუნებული რომ არის, ოტია პაჭკორია, იმის ბიჭისთვის გადასაცემად, — მიუგო დახვეწულმა ფოსტალონმა ოპერმუშაკს და გაოფლილი შუბლის შესამჩნევლად ასვევ გაოფლილი ხელით ცხვირსახოცის ძებნას შეუდგა შარღის ვიბრებში.

— ცხვირსახოცს თუ ეძებთ, ეკერა გაქვთ პერანგის საყელოში ჩაფენილი, — უთხრა ფოსტალონმა შინდის-

ფერმიჯიკიანმა და თავჩალუნულ სპორტულტანსაცმლიან ბიჭს გამყინავი ხმით უბრძანა თავი აენია, მაგრამ ის ბრძანებას ვერ დაემორჩილა იმ უბრალო მოზღვას გამო, რომ მას ცისფერპერანგინამა პირდაპირ კუჩხს თავში ჩასვსო იდაყვი.

— ნუ შეგაშინებთ ეს პატროსანი კაცი, დროს აუხსენებთ, რამაში საქმე, თორემ ფერი არ ადევს სახეზე, — მიმართა ცისფერპერანგინამა შინდისფერმიჯიკიანს და თან ფოსტალონი მზრუნველად შეათვალა.

— ამას რომ უყურებთ, პატროსანი ახალგაზრდა არ გვეგონოთ, ნარკოკურიერია, ნარკოტიკების დამტოვლებელი, მსხვილი მოვაჭრიდან წერილ მოვაჭრეებამდე მოაქვს საკონული... მოკლედ, ფოსტალონია ესეც, თუ შეიძლება ასე ითქვას, ოღონდ ნარკოტიკების, — აუხსენა შინდისფერმიჯიკიანმა თენგერ ქაჯახია. — იგრძნო, რომ ეუთოვითვალდებულთ და, ვითომდა წერილს რომ გადმოვცემდეთ, ნარკოტიკი ჩავიგდეთ შეუმჩნეველად ჩანთაში... გული ხომ არ გაწუხებთ თქვენ?

— მწინკნის ზოგჯერ ნაბახუსეცზე, — გამოტყდა ფოსტალონი.

— მხოლოდ ნაბახუსეცზე თუ გწინწიოთ, არა უშავს, ჩათვლეთ, რომ თითქმის ჯანმრთელი გული გქონიათ, — დაასვენა ცისფერპერანგინამა.

— მოდა, თუ ასეა, კიდევ უფრო გასაოცარ და მოულოდნელ ამბავს გეტყვით, — მიმართა შინდისფერმიჯიკიანმა ფოსტალონის. — ამას როცა უყურებთ, მსხვილი ნარკომოვაჭრიდან წერილგება ნარკომოვაჭრესთან რომ მიჰქონდა ნარკოტიკი, იქიდან ნაწილი თვითონ მოიხმარა. მერე შეეშინდა, მსხვილი ნარკომოვაჭრე დანაკლის არ მამაბეჭებს და მოწლებას, მოხმარებულის მაგიერად რაღაც ნაგავი შეურია საერთო პარტიას და სამი კაცი მოწამლა შარშან!... შეკლულია, ამას რომ უყურებთ!

— ზოვე მოი! — გაოცება აქცენტინანი რუსულით გამოხატა ფოსტალონმა.

— გაიღიმეთ, თუ შეიძლება, გამწვლელები რომ არ დაფრთხნენ! — სთხოვა ცისფერპერანგინამა ფოსტალონის. — ზომ შევადეთ, ჩვევ რომ ვიღიმიებთ გამწვლელებს რომ ეგონით, მივრალი ძმაკაცი მიყავს სახლში და მეტი არაფერი ხდებაო.

— კი მაგრამ, ოტია პაჭკორია ახსენა ამ წამწვილმა და მაგის ბიჭიც, — თქვა ფოსტალონმა და წაძალადევა გაიღიმა.

— ასეთმა ტიპებმა ყველა უბნის ინსპექტორები იციან ზეპირად, — აუხსენა ფოსტალონის ცისფერპერანგინამა. — უბნის ინსპექტორების ოჯახის წევრებიც იციან და ფოსტალონიებიც, სხვათა შორის, — კიდევ უფრო გააოცა ფოსტალონი ოპერმუშაკმა. — ჩოგბურთულად ახალგაზრდა თავს და ნარკოტიკებს ჩოგბურთის ბურთში ინახავდა... ისე შეუმჩნეველად ჩავგადებოდა ჩანთაში, ვერც იგრძნობოდა.

ფოსტალონმა ცხვირსახოცი მხარზე პირსახოცივით გადაიკოდა და თავიკი ჩანთა მძიმედ დაუშვა დასაფლავს. ჩანთის დათავილურებამ შედეგი ვერ გამოიღო. ფოსტალონმა შინდისფერმიჯიკიანის მიერ ჩხრეკისას



ერთმანეთში არეულ გაზეთებში ვერც იპოვა საორტულ-ტანსაცმლიანის მიერ მოცემული წერილი.

— არ ვარ შე ნარკოკურირერი! — ამობოლუქუნა ჩრეკის შედგით გულმოცემულმა საორტულტანსაცმ-ლიანმა, რომელსაც ცისფერპერანგიანი ოპერმუსიკი საკმაოდ მარჯვედ უგრეხდა ხელენს.

— არა, როგორ გუჟაფრება, ნარკოკურირება ვინ დაგბარალა, აგათა კრისტი ხარ შენ და კიდევ გრაფი სეგედი და და მონტე-კრისტო, ასევე გრაფი პი პრიოსსაფენოუ! — დასცინა მას ცისფერპერანგიანი და იქვე ფოსტალიონს შესჩივლა: აი ასეა, თქვენ ვერ წარმოიდგენთ რამდენი შრომა და ნერვები გვჭირდება, ეს, რბილად რომ ვთქვათ, საზოგადოების დოქტინებელი მტრები, ავტენტ რომ აიყვანათ!

— ფაქტა კრისტი კი არა, ანდრია აგასი და შტეფი გრაფი. გრაფი და აგასი ჩოგბურთელები არიან, აგათა კრისტი კი დეტექტივების მწერალი დამა ქალია, მონტე-კრისტო და სეგედი კიდევ ნამდვილი გრაფები იყვნენ, — რბილად შეუსწორა კოლეგას მინდისფერპერანგიანი და ფოსტალიონის ჩან-თას ისეთი სინანულით დაამტვრია, თენგიზ ქაჯაიას გული მოეწურა იმის გამო, რომ ოპერმუსიკებმა მის ჩა-ნათში ჩოგბურთის ბუ-რთი ვერ იპოვეს.

— იქნებ ჯიბეში ჩაეგდოთ რამე... ამი-სთანები ისე ჩაგიძ-ვრებიან სულსა და ჯი-ბეში, სივანლახაცა რომ გქონდეს ზედ დაყენებული, მაინც ვერაფერს იგრძნობ, — მიმართა ცისფერპერან-გიანი ფოსტალიონს. — საზოგადოების პარაზიტები არიან ესენი, სისხლს უნამლავენ ეს ნურბელები პატიოსან ხალხს!

— პაპიროსი მიდევს ჯიბეში და კიდევ სამი შაკის პენ-სია მაქვს ცალ-ცალკე შეხვეულად საფულეში შენახული. თალეო მასხლიასი, ორედ ქირაისი და ქონია ესეანჯი-ასი. სამივე აუდამყოფობს და სახლში მიმაქვს მათთვის განკუთვნილ თაზმა, — თქვა ფოსტალიონმა და პიჯაკის შიდა ჯიბიდან საკმაოდ ძველმოდური საფულე დააძრო, რომელზეც დაბატულ კრემლს ხმარებისაგან წითელი ვარსკვლავი მოცვეთოდა.

ცისფერპერანგიანი საორტულტანსაცმლიანი დანაშაუვ მინდისფერპერანგიანი გადსცა და თენგიზ ქაჯაიას საფულეს დაამტვრია, შემდეგ საფულე პატრონს მიმდევებული ღრმლით გამოართვა, მისი ჯიბეები ზერელედ დაათვალიერა და ისევ ფოსტალიონს დაუბრუნა.



მბატარი გიგა ზალიშვილი

— სად წაიღე ჩოგბურთის ბურთი? — რბილი ტონით დაეკითხა მინდისფერპერანგიანი საორტულტანსაცმ-ლიანს, თავში კი საკმაოდ უხეშად უთქაჟა.

— ურნაში ჩავადგე!.. ვგრძნობდი, რომ მითვალ-თვალბდი და სანაგვე ურნაში ჩავავდე, ფოსტალიონ-ნთან კი კვალის ასარევად მივედი, — ამობოლუქუნა საორტულტანსაცმლიანმა და ფოსტალიონს მიუბრუნდა: ღმერთო, რა არაპროფესიონალები არიან, ვერაფერს ხედეზიან!.. აფსუსი არ არის ამათმა დამიჭირონ?

— რისი ღირსია ახლა ეს ლანჩაიკი? — ამოსუნთქეა არ აცალა ფოსტალიონს ცისფერპერანგიანი.

— თქვენც ხომ ნამოგუყვებით, პატივცემულო, იმ ურნის სანაგავად მონმის სტატუსით? — სთხოვა მინდისფერპერანგიანი ფოსტალიონს და მის ჩანთას ისევ დაიჭირონ შეხედა.

— შევეშვით ამ პატიოსან კაცს, ისედაც საკმაო შიში ვაქამით. ხომ გვითხრა, გული მონკინის ზოგ-ჯერო? — შეიცოდა ფოსტალიონი ცისფერ-პერანგიანი. — სხვა მონმები ენახით.

— ჩვენ ყველანი, უბრალო მოქალაქეები და ოპერმუსიკები, თუ არ დაიგრაზმეთ და ერთად არ დავეძვით, არაფერი გამოგვივა! — ლოზუნგით დახმოს-როლა მინდისფერპერან-გიანი, რის შემდეგც ის და მისი კოლეგა ფოსტალიონის ძალიან თავაზი-ანად და ნაჩქარევად დაემშვიდობნენ და ორი-ვემ თითქმის ერთდროუ-ლად საორტულტანსაცმლიანს უთაქს კეფაში, შტრია-ლდნენ და, საიდანაც მოვიდნენ, იქითკენ გაძუნძულდნენ.

— ანდრია აგასი აგატა კრისტი როგორ ავერია? — უსაყვედურა მინდისფერპერანგიანი ცისფერპერან-გიანი. — ხომ შემარცხვინე ამ პატიოსან და განათლებულ კაცთან?.. კიდევ კარგი, გრაფი დრაკულა არ ახსენე, ისიც სისხლისმსმელი და ნურბელა ამ პარაზიტი კურირებით, თორემ ისე მოგვეჭყრებოდა თავი, ვერ რომ არ მოგეჭრია არასოდეს!..

— ვისთან, ამასთან? — საორტულტანსაცმლიანს კიდევ ერთხელ უთაქა ცისფერპერანგიანი.

— ამასთან კი არა, ფოსტალიონთან. ფოსტალიონები, რომ იცოდენ, რაც კი გაზეთები უდევთ ჩანთაში, ყველას კითხულობენ საოთხოვდ. ძალიან განათლებულები არიან, — უპასუხა მინდისფერპერანგიანი, უკან მოიხედა და ჯერ ფოსტალიონის ჩანთას შეხედა და მერე ფოსტალიონს.

ამის შემდეგ ოპერმუსიკებმა სიჩქარეს უმატეს და საორტულტანსაცმლიანი ლამის ხელში ატაცებული გაიყოლეს თან.

თენგიზ ქავთაია კი მიზლოდ მიხეილ ესვანჯიას სახლში აღმოაჩინა, რომ ქიონია ესვანჯიას, თალიკო მასხულიასა და ორდუ ქირიასთვის გადასაცემი თანხა, სულ სამასორმოცი მანეთი, მისი საფულიდან უკეალოდ აორთქლებულიყო.

— რისთვის, ღმერთო?! — ნამოძახა მამინ ფოსტალ-იონმა და თავისი ერთადერთი ხელი მუხრანზე შემოირტყა. — ნამეტანა პატიოსნად მილინოდა ის ცისფერქარან-გინი, შინდისფერპერანგინი კიდევ ნამეტანი პატიოს-ნად სერიოზული იყო და ნამეტანი გარკვეული გრაფებში, სპორტულტანსაცმილანზე რომ არაფერი ეთქვა!

## 2.

ნახევარი საათის შემდეგ სანაპიროს ქუჩის ფოსტალ-იონი, ამავე ქუჩის უბნის რწმუნებულის, ოტია პაჭკორიას სახლში, ბოლოებში ლომის ტარების ფორმის ფეხება მრგვალ მაგადასთან იჯდა და თავისი ერთადერთი ხელით მუხლისათვის ისრესდა. მაგიდას ოჯახის უფრო-ის ვარდა, მისი ცოლი, ცაქია, და შვილები — პროფკავშირული ჩინოსანი ასმათა და მეათეციასელი კახაბერი — უსხდნენ.

— ოფიციალურ საჩივარს ვერ შევიტან მილიციაში, იმიტომ რომ თალიკო მასხულიასა და ორდუ ქირიასთვის პენსია სახლში მიტანით უკანონოდაა გამონერლი. კანონით ისინი ლოგინად ჩავარდნილი ავადმყოფები უნდა ყოფილიყვნენ. ორივეს მე ჩაუწყვე საქმე ჩემს ფოსტელ ნაცნობთან. ოფიციალური საჩივარი რომ შევიტანო, ყველაფერს გადაამონებენ და მე კი არა, პენსიების სახლში გამომწერებიც დაკარ-გავენ სამსახურს! — შესჩივლა ფოსტალიონმა ოტია პაჭკორიას მას შემდეგ, რაც იმდიდანდელ ამბებს დაწერილებით მოუყვა.

— ეს ხომ გამონევეა! — კბილებიდან გამოსცრა ოტია პაჭკორიამ, რომელიც საკუთარ თავს, სიამაყით, რაჭომღაც „კონკრეტულ“ კაცს უწოდებდა და თავისი ლონიერი მუშტი მაგიდაზე დაეხეთქა. — ძალიან თამამი და კონკრეტული გამონევეა კი გამომიგზავნეს იმ ნაბიჭურებმა!

— დაახლოებით მაინც, თუ ხედები, ვისი მონყობილია ეს ყველაფერი? — შკითხა ფოსტალიონმა ოტიას.

— ოტია პაჭკორია ასეთ გამონევეებს უპასუხობდ არ ტოვებს! — ამაყად წარმოთქვა ოტიამ. — მაჩვენე მაინც რა წერილი გადაგვცა იმ სპორტულტანსაცმილანმა!

— ჩვეულებრივი, რუსი ქალის დანერლი წერილი იყო, მასეთი წერილები ოზრად ყრია ყველა პარკსა და სკვერში. ბიჭები წინა სეზონის ტურისტები ქალებისაგან წერილებს რომ მიიღებენ, ერთმანეთს უკითხავენ გასართობად ბირყებზე და მერე გადააყრიან ხოლმე. ახლაც რომ გაიარო მასეთ ადგილებში, ბარემ ორმოცდაათი აბოკავ ერთ ჩამოკლავა, — თქვა ფოსტალ-იონმა. — ვეძებე ის წერილი და ვერსად მივაგენი.

— ძალიან საზიოვრო სამსახური გაქვს, მამიკო! — თქვა უცემ ასმათ პაჭკორიამ, ფეხზე ნამოქირა და ბოლთის ცემას მოჰყვა. — ნამოდი ჩემთან, პროფკავ-

შირში. დაგასაქმებ. იჯდები შენთვის კაბინეტში მშვიდად და განათლებულ ხალხთან გეტყვება საქმე!

— ოტია პაჭკორიამ ქალიშვილს სიყვარულით გადახედა და წამით გაცისკროვნებული თვალები ისევ ბოლმით აფეხს.

— კი მაგრამ, მე გამეპურდეს და დამაზარაღეს, თქვენ ხომ არა? — გაუბედავად შენიშნა ფოსტალიონმა, მაგრამ მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია.

— არ მიხდა მე კაბინეტში ჯდომა. ღმერთს იმ კონკრეტული საქმისთვის ვყავარ გაჩენილი მე, კონკრეტული კაცი, რა საქმესაც ახლა ვაკეთებ! — თქვა ოტიამ და თავის ცოლს გადახედა. — მოქმედების კაცი ვარ მე, კონკრეტული კაცი!

— თავისი საქმე თვითონ იცის! — თქვა ცაქიმ და სიამაყით შეუთვალა ოტიას ქმარს უღვაშები. — ასეთი ჯოტოტი რომ ხელს ჩემი ქმარი, მაშინ ოტია პაჭკორია კი არ იქნებოდა, ისე სხვა ვინმე იქნება. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი სიჯიუტის გამოა, ბევრი მტერი რომ ყავს!

— პროფი პაჭკორიას შვილი ვარ მე! — განაცხადა ოტიამ. — პროფი სკუნჩის შვილი იყო, სკუნჩი კიდევ აზრავი იყო, სამარტლიანობისათვის მებრძოლი კაცი, სულ მათრახით სცემდა უსამართლობის ჩამდენებს. სიმართლე სკუნჩის მათრახით იკბინებო, ამბობდნენ მაშინ. არა ვარ მე კაბინეტის კაცი, მოქმედების კაცი ვარ მე — ასე მასწავლა მამაჩემმა მამამისის ცხოვრების კონკრეტულ მაგალითზე. როგორც მამაჩემმა მასწავლა, ისე ცხოვრობო მეც და სხვანაირად არც შემიძლია. ასე უნდა ვასწავლო ჩემს შვილებსაც და, თუ ისინი სხვანაირად ფიქრობენ, შეუძლიათ ახლაც დატოვონ ჩემი ოჯახი!

— ზედმეტად შეკერი და მომიხოგენი მამა ხარ შენი! — უთხარა ასმათმა მამას და ბოლთის ცემა განაგრძო.

— სად წავიდა მაინც ის ოფერი წერილი? — ნამოძახა ფოსტალიონმა. — ისე აუღელდი მაშინ და ისე დადგამ-ნოზეს იმ აფერისტებმა, რომ ახლაც გაბურღულივითა ვარ!

ფოსტალიონმა პირდაპირ მაგიდაზე გადმოაპირქევა თავისი ჩანთა. ფოსტალიონისათვის სპორტულტანსაცმი-ლიანი აფერისტი ახალგაზრდას მიერ გადაცემულ წერი-ლის პირველმა კახა პაჭკორიამ მიავნო კოჩია ლაქერბა-ის შვილიშვილისთვის მისატან ჟურნალ „პოინტრში“. წერილს მონათალი ხაზები ექნენოდა.

— მასწავლებელთა სახლის წინ პარკში აგურის ნახევრები რომაა დაყრილი, სწორედ იმის ნაკვლევე იქნება ეს წიფლი ხაზები, — ივარაუდა ფოსტალიონმა. — ასეთ წერილს ბარემ ორმოცდაათს მაინც მოვაროვებს იმ პარკში კაცი.

ასმათ პაჭკორიამ ძმის წერილი გამოართვა, ფანჯარასთან მივიდა და უშუქვე გახედა, თითქოს ფულის კუბურას ქვირილიშენს უშომბებო.

— მამაკაცებმა უნდა ნაიკითხონ წერილი, შეიძლება უწინაური რამე ეწეროს შიგ, — თქვა კახამ.

— გარკული ხელითაა დანერლი და თანაც საშინელო აქცენტში მკვებს, — თქვა ფოსტალიონმა. — არ ექნება მაგ



წერილს არაფერი საერთო იმასთან, რაც ამ დღილით მოხდა, დარწმუნებულზე უფრო ვარ ამაში.

— შე ნაეკითხავ, — თქვა უცებ ოტიამ და ხელი მგრძობანებურად გაიმვირა ასმათისკენ. ასმათმა ამოიხიზრა და მამას წერილი ხელში ჩაუდო.

— მეც აქცენტიაბი რუსულთი ვიცი კითხვა, მაგრამ არაუშავს, — ჩაიფლუნა ოტიამ და, სამაჲ კითხვას შეუდგებოდა, იმანაც სინათლეზე გახედა წერილს.

— ზღრასტვუი, კომანდირი მოვი ფიხნი!.. პიშეტ ტებე ტვიაი ჩაიკა-ანია... სპემუ სოობშიტ მუჭინე მოვი მერტი, ჩტო ია სტრასტ კაკ პო ნემუ სოსკუნილას... — დამიარცვლით წარმოთქვა ოტიამ.

— ჩვეულებრივი წერილია! — შენიშნა ფოსტალიონმა. — ასეთი წერილები ყველა ერთმანეთს გაეს. — ია სოსკუნილას პო მოშინი რუკამ მოეგო კომანდირა, ნა ბიჯეჲს კოტოროგო ტაკ ზუერნი ვიტატურიოვან-სო „ნე ზაბუდუ მატ როდნულ“! — ამჯერად წელმოთქმელებად და ჩამღერებთი წარმოთქვა ოტიამ და შესიყვნა.

— ჩვენს ქალაქში მასეთი ნაკლებები ძალიან მოადამი იყო ერთ დროს. შენც ხომ ვაქვს, მამა? — ჰკითხა ასმათმა მამას.

— თვლები ამიჭრელა ამ გაკრულად ნანგრე, — დაიწუნუნა ოტიამ, წერილი გაფიშვილს კავს და თან მკაცრად შეხედა. — ჩემი ჯინი აქვს რუსულის მანაშაღებულს და იმითვე მიწერს საპანანესო, რომ ამხობ, ავერ რუსის დაწერილი რუსული წერილი და დაკვიმტიციე, რომ მართალი ხარ!

კახა პაქვირიამ მამას წერილი გამოართვა და დაფასთან გამოძახებული ზუთოსან მოსწავლესავით წელში გასწორდა.

— წნაო ჩტო პოდ მოხნატოი გრუდი მოვი მუჭინი კორეტსა ნე ტოლკო რანა, პოლუნენაია ვ ევგანსკოი ვოინე ი ობცკლოვანაია მნიოუ მილიონ ტრისტა რაზ, ნო ი ოტვანეოუ სერდცე, ნაპოლენენოე ლუბოიეი ი ზაბოტოი ობო მენე, ი ბიოტსა ონო როვიო ტაკიმ ვე ჩეკანომ, კაკ ჩეკანიატ მინუტი ნამუი ვრემენიოი რაზლუ-ეი ტვიო კომანდირსკეი ჩასიკ... ნა რთული ნინადადება დაუწერია, ენა მოვიმტერეო კინალდ ამის უპერერიოდ ნაკითხვამ! — წამოიძახა კახამ.

— შენც ხომ მკერდში დაიჭერი ავლანეთის ომში? — ჰკითხა ასმათმა მამას.

— მერე რა, მკერდში რომ დაიჭერი? — კითხვა შეუბრუნა ოტიამ.

— შენი „კამანდირსკი“ საათიც ხომ მაც ჭრილობისთვის ვაჩუტა გენერალმა პუგალომ? — შიგ თვალეზბე ჩაზედა ცაქვამ ცეცხლს.

— აქაც „პუგალო“ წერია! — წამოიძახა რთული ნინადადებებისაგან შედგენილ წერილს ჩადრმავებულმა კახამ. — შენია ნე ისპუგალა ნე ხოლოდნაია ოსენე ი დაეე მეტელიცა-ზიმა ნამუი რაზლუკოი!.. ლუბლიი ია ტებია მოი ვისკოპოსედებე გერიო ნე ტოლკო ავგანსკოი ვოინი, ნო ი რომანა მოვი ფიხნი!.. „ვისკოპოსედებე“ რაღა ჯანდაბა? — საფეთქელმუჭალარავებულს ნიშნავს, თუ არ ცვდები, — გამოეპასუხა ცაქვა ვაფიშვილს და ქმარს

შეჭალარავებული საფეთქელი გამოწვევად შეუთვალიერა.

— მომეცი აქ წერილი! — მგრძანებულრად გაიმვირა ვაფიშვილსკენ ხელი ოტიამ.

— არა, შენ არ შეგანუხებთ მაკის ნაკითხვით, ჩვენ მოვევლით როგორმე! — შეგავდა ცაქვამ ქმარს და ვაფიშვილს წერილი აავლოცა ხელიდან.

— მონყობილია ცაქვა ეს საქმე!.. ჩემი მტრის დაწერილია ეს წერილი! — თქვა ოტიამ.

— მტრის დაწერილია თუ შენი შარმანდელი საყვარლის, მაგას ახლავე გავარკვევთ! — მიუგო ცაქვამ და კახას მოუბრუნდა. — ტელევიზორზე დეკს ჩემი სათაღე და მომიტანე. მამაშენის საათიც მანდ დეკს და ისიც მოიტანე.

— იცი მერე მაცდენი რუსული? — ჰკითხა ოტიამ ცოლს.

ცაქვამ ქმრის კითხვა უპასუხოდ დატოვა, კახას სათაღე გამოართვა და აცხიხიხული ხელით მოიკრო.

— სად გაჩრდი? — ჰკითხა ცაქვამ ვაფიშვილს.

— ფრჩხილი გავუსვი ქვეშ! — მიუგო მან, ოტიას საათი მაგიდაზე დადო და დედას ზურგსუკან ამოუდგა.

— მე ნაკითხავ, შევეჩვიე უკვე კალიგრაფიას.

ცაქვამ შვილის შემოთავაზებაზე უარის ნიშნად თავი მკაცრად გააქნია და სანამ კითხვას შეუდგებოდა, ქმარს შეხედა.

— რა არიან მაინც, ეს ავლანეთის ომის გმირები ყველა ქალს მედლებივით უჩვენებენ ჭრილობებს! — ირონიულად შენიშნა ცაქვამ და ჩაახველა. — ია ზილა პოლენოტი ვერნა კლიატვე, ოტდანიოი ტებე ნა ზანდემ სიდენი ტვიო მაშინი მოლონოგო ცვეტა... ნა კინემ ბარაბანილ დოფე, ა ზა ოკნომ მუშეილა მორე... ია სმოტრელა ტოვდა ტებე ვ გლახა ი გავარულა სებე, აჟრტ ონ — მუჭინა მოვი მერტი, კოტოროგო ია ისკალა ცვალის სოროკ ადინ გოდ მოვი სკუწნიო და ტოვო ფიხნი!..

— რძისფერი მანქანა იმდენს ყავს ჩვენს ქალაქში, ვერც დათვლი! — თქვა ოტიამ.

— ქალბი თავის ასაკს, როგორც წესი, მალავენ, ეს კიდევ არ მალავს. ალბათ ჩემი ქმრის მანქანის ნომერიც ორმოცდაერთით რომ იწყება, ეს მინიშნებად უჩვენა! — უთხრა ცაქვამ თენივო ქაჯიას.

— ეს პროუკაციია! — წამოიძახა ოტიამ.

— ნავალ შე, ქვეყნის გაზეთები მაქვს დასარიცხებელი, — თქვა ფოსტალიონმა, მაგრამ მისი ნათქვამისთვის ყურადღება არავის მიუქცევია და ამიტომ დარჩენა ამჯობინა.

— „ბოევი წნამენიე“ ხომ ლეთის მინიშნებაა? — ასმათს დაეკითხა ცაქვა.

— ნა აყვები ამ კონკრეტულ პროუკაციას! — ურჩია ცოლს ოტიამ.

— ამ წერილში წერია, „ია ტებია ისკალა სოროკ ადინ გოდო“ და ორმოცდაერთი ლეთის მინიშნებად ჩავეთვალეო. გამოიღოს რომ ის ქალი ოტიას მანქანის ნომერს გულისხმობს... მაგრამ შე ის ვერ გაიგოს, „ჩაიკა ანისა“ რატომ ეძახდა ჩემი ქმარი იმ ქალს? — თითქოს საკუთარ თავს ჩაკითხა ცაქვა და წერილი დასუნა.



— დამთხვევაა ეს და მეტი არაფერი. რუსეთიდან გამოგზავნილი წერილი ყველა ერთმანეთს გავს! — თქვა ფოსტალიონმა.

— მანქანის ნომერიც, საათიც, ავლანეთში მიღებული ქრილობაც დამთხვევაა? — თვლები გადაუბრიალა ცაქვამ ფოსტალიონს და წერილი ქალიშვილს გაუნოდა. — ჩაიკიბოხ ბოლომდე, ოღონდ არაფერი დამიმალო, ჩემს თავს ვაფიცებ!

— მოგზავნილი ხომ არა ხარ შენი? — ფოსტალიონისკენ გაინია ოტიამ, მაგრამ ასმითმა არ ვაუშვა. — აფერისტი ხარ, შენ, თენგიზ ქაჯაია, კონკრეტული აფერისტი!

— შვილის საფლავს გეფიცები!.. — თვალები აუნყლიანდა ფოსტალიონს. — ხომ ხედავთ აგურის ნაფუცევენის კვალს წერილზე?

— შენი მოწყობილი თუა ეს საქმე, ჯობია თვითონვე მოიკლა შენი პროვოკატორი თავი, თორემ მე უფრო მტკიცუნელად მოგკლავ! — დაისისინა ოტიამ.

— შვილის საფლავი დავიფიცე, სხვათა შორის! — სიბრახისაგან სახეზე ნამოჭარხლდა ფოსტალიონი.

— მაამჩემი მართლა მოქმედების კაცი ყოფილა! — თქვა ასმათმა.

— „ჩაიკა ანისა“ იმიტომ ეძახდა ამ წერილის მიმღები წერილის დამწერს, რომ „ჩაიკა“ ყუდა ალაბთ თვითონ და არა „ფოლგა“, როგორც ოტიას! — ივარაუდა ფოსტალიონმა.

— რისიფერი „ჩაიკა“ თუ გინახავს სადმე? — ფოსტალიონის იმედებს წყალი გადაუწურა ცაქვამ.

— არ არის ეს ჩემი წერილი! — თქვა ოტიამ. ფოსტალიონმა მორიდებულად ჩაახველა და მაგიდაზე დახეაქებული ყურნალ-გაზეთების ჩანთაში ჩაყრას შეუდგა.

— არ ყოფილა ეს მამას წერილი! — თქვა ასმათმა და გაიღიმა. — აგერ ნახეთ ბოლოში რა წერია: „ბერეცნი ხრანიუ ია ტვოიო ჰისმო, ვ კოტორიო ტი ტაკ ოსტროუმინო პრეკოდნოს სვოიო ინია აბრევიატუროი „ხ“-ხოჩეტსია, „ჟ“-ვიდეტ, „ჩ“-ჩაიკუ, „ა“-ანიუ, ტო ესტ „ხ.გ.ი.ა.“-ო“

— ეს რას ნიშნავს? — იკითხა ცაქვამ.

— ხომ ვთქვი მე, ოტიასი არ იქნება ეს წერილი-მითქი! — თქვა ფოსტალიონმა. — ყველა ერთნაირად ეჭვანები როგორა ხართ ეს ქალები, გამაიყებთ პირდაპირ?

— შენ მაინც გაჩუმდი! — სთხოვა ცაქვამ ფოსტალიონს. — მთლად მასეთი ბოეთ არ არის ჩემი ქმარი, რომ ტურნისე ქალებს თავისი ნამდვილი სახელი უთხრას... მანქანის ნომერი ხომ უნდასადა დააფიქსირებული წერილიში?

— ნუ ხარ, ცაქვა, ასეთი

ექვანი. არ შეიძლება ასე! — უსაყვედურა დისახლის ოტიასაგან მწერიტ ნათამამებულმა ფოსტალიონმა.

— შარშანწინ, საყრავი მანქანა რომ მიყავი ოტიამ, მთელი ერთი თვე „ჩაიკას“ მეძახდა! — წამოაგონდა ცაქვას.

— „ჩაიკა“ ერქვა, ქალო, იმ საყრავე მანქანას და, აბა, „ზინგერს“ ხომ არ დაგძახებდი? — იფეთქა ოტიამ.

— ჩვეულებრივი წერილია ეს წერილი, სხვებისაგან არაფრით განსხვავებული. ათასობით მოდის ასეთები ჩვენს ქალაქში! — თქვა ფოსტალიონმა.

— ჩვენს ქუჩაზეც დებულობენ ასეთ „ჩვეულებრივ“ წერილებს? — დაისტერუნდა ცაქვა და ფოსტალიონის ჩანთას უცნაურად დაამატერა.


— სხვები წერილი განსხის უფლება არა მაქვს! — კატეგორული ტონით განაცხადა ფოსტალიონმა.

— მაშინ სხვანაირად დამარწმუნეთ, ასეთი დამთხვევები შემთხვევითობა რომაა და მეტი არაფერი! — ფოსტალიონზე მეტი კატეგორიულობით მოითხოვა ცაქვამ.

— როგორ მაინც? — იკითხა ფოსტალიონმა. — ჩემი გაფუჭებულია ეს საქმე და მევე უნდა გამოვანსრო, როგორც ვატყობ სამასორმოცი მანეთი რომ მაქვს ჩემი ჯიბიდან გადასახდელი ის არ მეყოფა, ოტია პაჭკორიას ოჯახის დანერგვაში რომ დამეფოს კიდევ პრაივი?!

— ნაბრძანდებით ახლა შენ და ოტია ოტიას რისიფერი „კოლფით“ და, რაც სკვერებსა და პარკებში გადაყრილი წერილებს ნახავთ, მოხვედრეთ სულ ყველა, აქ მომიბრძანებთ ნახევარ საათში და დამიმტკიცებთ, რომ დამთხვევები ხშირია, თუ არადა, მე ვიცი რასაც ვუბამ! — თქვა ცაქვამ და ამაყად წამოდგა მაგალიდამ. — ოღონდ იცოდეთ, ნახევარ საათს გაძლეთ, მეტს კი არა!.. არა მგონია, ნახევარ საათში ერთი ყალბი წერილის დანერგას მაინც მოვაბთ თავი!.. ოტია ჩვენებასაც ვერ იწერს რუსულად, როცა დაპროსს ატარებს!..

გარეთ გაზაფხული პირველი სამკაულს ირგებდა; ენებასავით აფეთქებული მიმოზის ყვითელ ყვავილებს; ოტია პაჭკორიას სახლიდან სულ რაღაც ორმოცდაათიოდ მეტრში კი ზღვას, როგორც ცხონებული დოდო ბასილია გაიხუმრებდა ხოლმე, ნაპირთან ზამთრის ცეკვა, ცივი „ტანგო“ მოსწყენოდა და ახლა მასთან ცეცხლოვან „ლამაბაბო“ გასაყარჯიმებლად ემზადებოდა, მანამდე კი „უშობა კ სტენკეს“ თამაშში მშრალი ანგარიშით დამარცხებულ ხმელეთს მოვებულ „პალაბანებს“ ურახუნებდა შიგ მოტყევილი თავში... მიმოზის ყვავილების სუნისგან თავაკივებული ქალები კი თავიანთი ხელნათების დვედებს აკერებდნენ და, თვითონაც არ იცოდნენ, რატომ იცრემლებოდნენ...







თავისუფლება და ლექსი. რამდენიმე რამ არის ამ ორ ცნებას შორის საერთო. მათ შორის ერთ-ერთი პირველი ალბათ ფორმაა, გამობატვის ფორმა. გამობატვის ფორმა თუ თავისუფალია, მაშინ ლექსიც უბრალო, სადა და გაქმეირვალე ხდება. ამავე დროს, პოეტისა არ იყოს, თავისუფლება ისე არ მოდის თავისუფლება ხასიათია, უპირველეს ყოვლისა, და ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ ამ ლექსებით ვეცნობით ნუნუ ჯანელიძის როგორც პოეტურ, ისე პირიქედულ ხასიათს. სითბო, სიკეთე, გულითადობა, რწმენა — ეს ყოველივე არის არა მარტო გადმოცემული და გამოხატული, არამედ გაღებული, გაცემული, გასაჩუქრებული, როგორც ყვეალღებ. ეს არის ლირიკის ის სახეობა, რომელიც ცოტაოდე ფილოსოფიასაც ითხოვს იმ დროით, რა დროითაც თავისთვის იკმარებდა. და კიდევ, გასაცარი შეგრძენება სიცოცხლის დიალექტიკისა, რომელიც, პოეტის აზრით, არის არსებობის საიდუმლო, რეალურისა და ირრეალურის, მინისა და ზესასაოფლის მიჯნა, ეგზისტენციური შიშის ერთადერთი ნაშალი.

ნუნუ ჯანელიძე

\*\*\*

ალარაფერს ვიტყვი წინასწარ:  
სულ დამასწრო რადგან ეშმაკია  
და ჩამალა განზრახვა ჩემი;  
...თუმცა, რად ვუმხელ, მეც, ძველ ეშმაკს,  
ჩემს გულსინადებს.

\*\*\*

ისე, რომ არ იცოდეს მარცხენამ,  
გაისარჯე შენ, მარჯვენავ,  
და გაეცი, დაუნანებლად გაეცი  
და მოიქოვე უცვცივი ქისა  
შომავლისათვის.  
ისე, რომ არ იცოდეს მარცხენამ...

\*\*\*

რა გავიგო მე ამ ცხოვრების:  
მეუცხოება და არაფრით  
შეგნით არ მიშვებს:  
რა გავიგო მე ამ ცხოვრების:  
ძვრებს და ქარიშხლებს  
მუდამ გარეთ ვხედები ხესავით...

\*\*\*

როცა ხელისგულზე ამოვალ,  
ყველაფერს ვგრძნობ გამძაფრებით  
და ძაფებიც, გამომხული სხივად ნაწნამებს,  
მგონია ოქრო:  
როცა ხელისგულზე ამოვალ...  
მაგრამ შორიდან ჩემს ნახელავს  
ვეღარ ვცნობ თითქოს,  
ვეხები თითბერს  
და დარცხვენით უკან ვწევ თითებს...

\*\*\*

სანამ მინის სხეული დამაქვს,  
სანამ ქალაქს პქვია ყაფანი  
და ქირთი ვცხოვრობ მის ნანგრევებში,  
ვივლი კარდაკარ და ასე სულაყეფებული  
გავლევ ქვეყანას.  
სანამ ქალაქს პქვია ყაფანი  
და ქირთი ვცხოვრობ მის ნანგრევებში.

\*\*\*

შემომეჩვია ფლიდი მოყვარე  
და  
პირთან მიტანილ ლუკმასაც მართმევს;  
უიმედობის დაფურთხე კალთა  
და ერთ ნამეტყვას ვეღარ მთავან,  
სტუმრის მადას რომ გადარწმუნოდა.  
შემომეჩვია ფლიდი მოყვარე...

\*\*\*

მაინცდამაინც სხვის მზებესაც  
ალარ ვსაკლისობ:  
მაქვს საიდუმლო გასაღები  
სიბრძნის სახლისა  
და შემეძლია სულის შიგა ბალებს  
ვენეო.  
მაინცდამაინც სხვის მზებესაც  
ალარ ვსაკლისობ..

\*\*\*

საიდან, საიდან მოდიხარ-თქვა,  
ჩემო სიმხნევე,  
შევეკითხე  
და მან დამანახა კუთხე,  
ნათელი რომ გადახადიოდა:  
...ცაო, მიკურთხე  
ჩემი სულის ადგილ-დედულ...

•••

ემ, იოლია ჩემი სიტყვებით ლაპარაკი,  
შენი სიტყვებით ლაპარაკი თქვი, თორემ,  
თითქოს ლითონს ვადნობდე შირით;  
ან, ვის რად უნდა ჩემი სიტყვები ლიტონი,  
ერთხელ შენს ხმას ვინც მოუსმინა...

•••

ხეებმა, რომლებმაც იციან მეორედ მოსვლის საიდუმლო,  
გამანდეს,  
რომ არაფერი იქნება ქვეყნად მარადი მანამდე,  
ვიდრე კვირტთა ცოდვა ვევაილად გაშლის სურვილია  
მხოლოდ და მხოლოდ;  
ხეებმა გამიზილეს ის, რაც დალანდეს  
კედომისა და გაცოცხლების ქაშს...

•••

რადგან,  
ცოდვა-მადლის ქვითა და კირით,  
ვით მამულის ციხე-სიმაგრეს,  
საკუთარ თავს აშენებდი მთელი სიცოცხლე  
და შეგნიდან აგურითი წვავდი სულს შენსას,  
ბევრს ვერაფერს დაგაყვედრის დიდად ვერაფერს  
და ქედმაღლურად ხელს ვერ წამოგკრავს.

•••

რამდენ რამეზე უნდა გამცე პასუხი, დროო,  
შენ კი მფოერედ მოიზლახნები  
და სხვის ხარ-ზეიმს მაჩეჩებ ხელში  
და მახეთქებ გულქვად მერჩეებს.  
რამდენ რამეზე უნდა გამცე პასუხი, დროო...

•••

ერთი დღისათვის ვცხოვრობთ ყველანი,  
ერთი ლამაზი გახსენებისთვის:  
სიტყვაა ჩვენი სახნაე-სათესი  
და ცოდვიანი სულის დასახსნელ  
მოსავალს მთელი სიცოცხლე ველოთ.  
ერთი დღისათვის ვცხოვრობთ ყველანი...

•••

ქვა მან მესროლოს,  
ვინაც ჩემზე მართალი იყოს  
და მეზე მზერა  
უსნოროს სიტყვას;  
...მე კი, გულს მივირილ ქვებს  
განიძვით გაუფურთხილდები...

•••

კანონებიც ჩემს წინააღმდეგ შეითქვენ  
და მძლიეს თითქმის,  
ცხოვრებისგან ისეც მითეთქელს;  
მაგრამ გული ჩემს მზარეზეა,  
იგი კვლავ ფეთქავს სიყვარულისთვის.

•••

თუ რამედ მიღირს ჩემი ფიქრის  
თავისუფლება,  
უნდა გავსუსო სული, უნდა ღრმად  
ჩაეისნუთქო,  
და არვის, არვის დავეცხსო  
ჭიქა პაერსაც.  
...თუ რამედ მიღირს ჩემი ფიქრის თავისუფლება...

•••

თავს დაეჩხაღლე და დაუფუთე  
ანგელოზები,  
აღარ არიან, ვიცი, ანი,  
ჩემთან მომხელენი.  
ბაგა-ბოსელი მაინც მომცა,  
მოვილი-მოგვილი,  
რომ დავეუფლო იქ და  
ზეცა ვჭყრიტო მოგვივით.

•••

მე ხომ მინის მარილი ვარ  
და სოფელი მიცნობს თუ არა,  
ჩემს სიყვარულს მაინც ჩემს ქვეყანას  
შევაღე,  
ცხადად, შემალვით  
და ავეცევი ცას არილივით.  
მე ხომ მინის მარილი ვარ,  
მინის მარილი...

•••

ერთხელ მესიზმრა წუთისოფელი  
და იმის მერე ყოველ დღე ვხსნი  
უცნაურ სიზმარს  
და ყოველ ახალ ფურცელს დიდი სიფრთხილით  
ჰკაცვ  
და სანამ კიდევ ცხელია კეცი,  
იმედის ხმაიდას ვაკრავ ზედ და  
დღის მადლით ვაცხოზ

•••

ალბათ, მეტი ვერც ვიქნებოდე:  
მე ჩემმა შეცდომებმა ჩამომქნეს,  
როგორც საბიუტელი,  
რათა ვინვოდე,  
ვანათებდე  
და შეცდომებს სხვებს ვარიდებდე.  
ალბათ, მეტი ვერც ვიქნებოდე...

•••

ბევრი ცოცხლად მომიკვდა გულში,  
მაგრამ მთლად რომ ვერ გავიმეტე,  
ლექის ჯვრები დაგუსვი ფრთხილად,  
მოფუნიშნე ადილი მცირე  
ჩემი გულის სასაფლაოზე.

•••

უჯავრელი მარტო ლოდაი;  
თუმცა, ვინ იცის,  
ამდენ ქარ და წვიმაგამოვიღის  
ცოდვის ბრუნვა ახსოვს როდიდან  
და ყვითელ-მწვანე ხავსი,  
გულზე აბლოტებული,  
უჯავრია მისი...

•••

როცა საკუთარი თავი შემოპყრობს,  
საცოდავი სანახავი ვარ –  
- ფიქრის ხეაიდან ცარიელი ვრჩები  
თავთაფი;  
...და სულართვალი  
ცას საშველად ვუხმობ  
ბავილით...

•••

ჩიტს რომ ხმა მიაქვს,  
ვაი, ასეთ ჩიტობას,  
მის სიმჩატეს,  
თვალეში ცის ჩატევას.  
ჩიტი პქვიო,  
მაგრამ იტყვის და –  
- ჩემს მტერს,  
აკანკალებთ შიშით  
ნარებს და ჩელტებს...

•••

გავბოროტდი და თავი შევიძულე  
და გველის ძუას გამოვაბი სიტყვები  
და ლექსთა სართულებს დაგუბმე სარკმლები;  
გავბოროტდი და ვეარაკები ცას  
მინით სასვე პირით,  
ვარ ენაგასხეპილი,  
გავბოროტდი.

•••

უწინდებურად აღარ ვწუნუნებ;  
ოცნებების მწიფე კუნწულას  
შემოაკენებს ქოლყვავებმა  
ფერი და ზორცი,  
და მქეწარ ღეროზე საბრალოლად  
შერჩენილ კურკებს  
არ ანაღვლებთ რტოთა სიმორცხვე.  
უწინდებურად აღარ ვწუნუნებ  
და მშვიდად ვფოცხავ  
ორივ ხელით  
მინას მშობლიურს..

•••

თურმე ბევრი არც მჭირდებოდა,  
რომ დიდებით შევმოსილიყავ –  
— ერთი ხელი სინდის – ნამუსის  
კაბა - პერანგი  
და სიყვარული,  
ბუმერანგად ნასროლი ცაში...

•••

როგორც თესლი მიეკვრის მინას,  
ისე გული ჩემი ცას ეკვრის  
და ეკლის კბენა  
მე რას დამაკლებს;  
ლმერთო, კვლავ ნეწვში  
მსურს დაბრუნება.

•••

ჩემი ყოფის საცოდაობა  
ხეში მცხოვრებ ერთ მატლს შევჩივლე,  
ის კი ჩუმად, მზრების ჩეჩვით და  
ბრმა თვალებით შემომედავა:  
ცის სინათლის ხილვა რომ გსურდა,  
აბა, როგორ გეჯონა, დაო...

\*\*\*

თავზე რომ წისქვილს ვიბრუნებდი,  
მაშინ ვიცოდი,  
რანაირად წმინდად დამეფუტეა,  
რომ უფუარი ცომისაგან  
სიყვარულის მეცხო ხშიადი  
და მინდად მხოლოდ სასიება მცირე ამელო.  
თავზე რომ წისქვილს ვიბრუნებდი  
ქვეყნის საცქერლად..

\*\*\*

განა მას ვჩივი,  
ბოროტმა რომ მე მიბოროტა,  
ავი თქვა ჩემზე,  
უკეთური ჩემზე მოროტა.  
მე იმას ვჩივი,  
ბოროტმა არ გამაბოროტოს,  
ავი ვთქვა სხვაზე,  
უკეთური რამე მოვროტო...

\*\*\*

მარად ცხვირინ მოქანავე ოცნებასაც  
პირი ერთხელაც რომ ვერ ვტაცე...  
არადა, სულ მიხმობს ტკარცალით,  
გამომწვევად მეთამაშება.  
...შემედლოს, მაინც, ხელფეხმკერულს,  
თავის აშვება.

\*\*\*

მაინც მარტო ვარ,  
ფიქრს მაინც მარტოკაქალა მივდექ,  
რაც გულში დარდი ტრიალებს,  
ენა რას იტყვის იმდენს.  
ან ლექსი როგორ გამოთქვამს,  
მაგრამ აზრს მაინც ვზნკარავ,  
ვუბტები, როგორც ყაჩალი  
კალმით,  
თავგასულ ნკვარამს.

\*\*\*

მაგრად მოეჭიდე, მაგრად,  
ესავის ქუსლს, იაკობ,  
რათა ნათელმა შენმა  
ნუთისოფელი შეამკოს.  
და, რათა, დასასრულ ესავის,  
გამოჩნდეს დღე,

რომელსაც ვესავეთ.  
მაგრად მოეჭიდე, მაგრად,  
ესავის ქუსლს, იაკობ,  
მოდის ახალი დღე,  
ნათელი ბნელს მიაპობს.

\*\*\*

ვვარცხნი ჩემს ფიქრებს,  
ვნნად და კუდს ვუსკენი,  
და ჩემს ფიქრებს ვათვინიერებ,  
რომ არ აპყვნენ ეშმაკებს და  
მათი იერი არ მიილონ  
და მათი არ დავდოთ ფერი.  
ვმწყემსავ ჩემს ფიქრებს,  
გავაშენე ფიქრის სოფელი,  
სადაც ავი ვერ დაიბუდებს.

\*\*\*

გამოცურდები ჟამი და ჟამ ბორკილებიდან  
სულადქცეული  
და ბიბლიური მორკინალივით  
ზეცას შევებში  
(მინაზე თითქოს დავასრულე უკვე შენება):  
...რა მსუბუქია მაშინ ჩემთვის მზერა შორეთის;  
...გამოცურდები ჟამი და ჟამ ბორკილებიდან  
სულადქცეული...

\*\*\*

ცრუ ნათელით შემოსილ  
სოფელს სვედით ვუმზერ,  
თვალზელუშა იზრდება  
მისი ცოდვის კუზი;  
ცრუ ნათელით შემოსილ  
სოფლის არა მსურს-რა,  
ნებით ვეკვლევიწები  
მისი ვნების ლურსმანს...

\*\*\*

მე ჟამით ვსუნთქავ,  
ამიტომ ხშირად მეგუბვის სული  
და უსალმო დღენი მამთობენ,  
მაგრამ დროით სუნთქვაშეკრულიც  
სასოებით ვჭვრეტ  
ზესთასოფელს  
და მთავარ სუნთქვას  
ვიჭერ კბილებით;  
... დროს ვერკინები  
თვით დროსაგან სულადქცეული...

ვერჯილ ნემოიანუ

## ახალი კრიტიკა და მისი შედეგები

ახალი კრიტიკის აუცილებლობის შესაცნობად უნდა დავაკვირდეთ ლიტერატურული კრიტიკის ბუნებას, რომელიც ორსახეობანია: ერთი მხრივ, ესაა რალაც ტექნიკის მსგავსი: შეხედულება ნივნზე, მისი გამოცდა და განსჯა და ა.შ. მეორე მხრივ, ლიტერატურული კრიტიკა მნიშვნელოვან სოციალურ-პოლიტიკურ როლს თამაშობს. ის ამარაგებს მკითხველს იდეებით (იდეოლოგიურით, პოლიტიკურით, ფილოსოფიურით, ეთიკურით, რელიგიურით...) — შეფარულად, მაგრამ განაგებ ენაზე, ნელ-ნელა... ეს წინასწარგანზრახული თუ მეტ-ნაკლებად უნებელი ქმედება — ჩვენთვის ნაკლებმნიშვნელოვანია. ყურადსაღები ისაა, რაც ფაქტობრივად ხდება. აი, რომელია ლიტერატურის თეორიას და კრიტიკაში წარმოქმნილი კონფლიქტები უფრო ფასეული, ვიდრე — რეგიათა აკადემიური დისპუტები.

მდივ, ვენაში, რა ვითარება ანგლო-ამერიკულ სამყაროში. XIX საუკუნეში სიტუაციას ამირტყვებდა ერთგვარი გათიშვა. ასე მაგალითად, უნივერსიტეტებში ორგანო კრიტიკა შეხედულებით: ზემდინებით ტექნიკურს (ხელნაწერები, ისტორიული ვერსიები და გამოცემები, ფორმალური საკითხები, ხმოვნები, თანხმოვნები, რიტმი და ა.შ.) ან — ფილოსოფიურს: ესთეტიკის, როგორც ფილოსოფიური დარგის, ანალიზს, რომლის სახელწოდებაც კი დიდი ფილოსოფიური მნიშვნელობისაა. უნივერსიტეტებს გარეთ განსხვავებული ვითარება სუფევდა. კრიტიკა იყო თავისუფალი და სუბიექტური, რის წყალობითაც გამოინატრებოდა კრიტიკოსთა შეხედულებანი, გემოვნება, მგრძნობელობა და ა.შ.

მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა I მსოფლიო ომის ახლო ხანებში, კერძოდ კი — 1910-1920 წლებში. უამრავმა ადამიანმა მიინდომა ლიტერატურული შეცურების გამარტივება, ვინაიდან ისინი სხვა დისციპლინათა წარმომადგენლები იყვნენ. გამოჩნდა განსხვავებული მეთოდები: ფსიქოანალიტიკური (ფროიდის ტრადიცია), სტრუქტურალისტური, სოციალოგიური (მარქსისა და სხვათა ტრადიცია) და სხვა მიმდინარეობანი და მიდგომანი.

ყველაზე მნიშვნელოვანი მათ შორის ე.წ. ახალი კრიტიკაა. რთი იყო ის მნიშვნელოვანი? იმით, რომ სხვათაგან განსხვავებით, გახლდათ არა უზრაველ სხვა მეთოდების ნაწილი (ლინგვისტიკისა, ფსიქოლოგიისა, ისტორიისა, სოციოლოგიისა...), არამედ — თავისთავადი,

\* ნაკითხული მოხსენებად 2008 წლის 22 აპრილს ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში

აგტონომიური, ლიტერატურის საძირკველზე დაშენებული. ლიტერატურის კანონებს დამორჩილებული...

საიდან იღებს სათავეს ახალი კრიტიკა? უნიწარესად იმას გეტყვით, რომ ეს არ იყო უნიკალური, უზაფლო, უჩვეულო საფუძვლები. მეტ-ნაკლებად მსგავსი მიმართულებანი შეიმჩნეოდა სხვა დასავლურ ქვეყნებშიც. მაგალითად, გერმანიაში იყვნენ ძალზე კარგი ანალიტიკოსები, რომლებიც ვერ ჯგუფად არ გაერთიანებულნიყვნენ. საფრანგეთში ამ მეთოდს ეწოდებოდა „analyse de texts“, რომელიც რამდენიმე ათწლეულს ბატონობდა და თითქმის ექსკლუზიურად გამოიყენებოდა სკოლებსა და აკადემიურ ინსტიტუტებში (ოღონდ არა — ჟურნალშიც და დამოუკიდებელი კრიტიკაში). ასე იყო იტალიაშიც. რუსეთში, კერძოდ 1920-იან წლებში, მოქმედებდა ნოვატორთა ძლიერი ჯგუფი, ე.წ. „რუსი ფორმალისტები“. მოგვიანებით, პოლიტიკურ მიზეზთა გამო, ამ ჯგუფის საქმიანობა შეწყდა, მაგრამ 1970-80-იან წლებში მისი დებულებები და გავლენა კვლავ უცვლელად დასავლეთში. შეიძლება სხვა მაგალითთა დასახელებაც (აღმოსავლეთ ევროპა, ესპანეთი და სხვ.).

თუმცე უნდა აღინიშნოს, რომ რუსმა ფორმალისტებმა გავლენა ვერ მოიპოვეს აშშ-სა და ინგლისში, სადაც აბალმა კრიტიკამ ორი საფუძველი ჰპოვა: ვენდერბოთის უნივერსიტეტის ნეშლში და თითქმის იმავრთულად, ოღონდ სხვა სივრცეში — კუენზბოროის უნივერსიტეტი ინგლისში. ორივე სიტყვით შეეხებოთ თითოეულ მათგანს და შემდეგ ახალი კრიტიკის ინგლისში და ამერიკულ წარმოშობას დავეუბრუნდეთ. ინგლისში ლირსშესანიშნავე გახლდათ სამი პიროვნება: აივარ არმსტრონგ რინარდის, ფრ. ლევისი და უილიამ ემფსონი. ამ უკანასკნელმა წარმოადგინა ე.წ. „არაერთმნიშვნელოვნების“ კონცეფცია, რომლის არსიც ისაა, რომ ლიტერატურული ტექსტი (კერძოდ — პოეტური ტექსტი) ფასეული მამონაა, თუ ის სხვადასხვა ინტერპრეტაციისა და, შესაძლოა, მათ შორის კავშირსაც გულისხმობს. რინარდის ცნობილი გახდა მეთოდით „close reading“ (გამომწვლილთი კითხვა), რომელსაც ლიტერატურისთან მიხალოების, მისი ახსნის ძირითად მიდგომად აღიარებდა. ლევისი იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ბევრი სტუდენტი ჰყავდა, ბრწყინვალე ჟურნალები დააფუძნა და „ფინგუნ ბუქსის“ მიერ დასტამბული „ინგლისური ლიტერატურის“ მუშვივე გამოცემის წინასიტყვაობა დაწერა. მან, კერძოდ, ყურადღება გაამახვილა ინგლისური რომანის ისტორიაზე და მეორე ადგილზე დააყენა სატირული, ავანტიურული და ეპიზოდური რომანი ნიშუმები (XVIII საუკუნე, დეკუსხა და თეატრისთან ერთად), პირველზე კი — სერიოზული, კარგად სტრუქტურირებული, ფსიქოლოგიური, სოციალური, რეალისტური რომანი: ჯეიმს ოსთინი, ჯორჯ ელიოტი, ტომას პარდი, დევიდ პერბერთ ლოურენსი და სხვ.







აშშ-ში ახალი კრიტიკა ძირითადად სამხრეთში, 1920-იანი წლების ადრეულ ხანაში წარმოიშვა: ჯონ ქროუ რენ-სონი, ჯონ ორლეი ალენ ტეიტი, ქლითი ბრუკლი, რობერტ ფენ უორენი და მრავალი სხვა, ვინც მოგვიანებით ცნობილი გახდა აშშ-ში და დაახლოებით 1930-1965 წლებში გლობატორულ აკადემიურ მდგომარეობას მიადნია. შეგვიძლია თვალი მივადევნოთ ყოველივე ამის განვითარებას. მნიშვნელოვანია რამდენიმე ევროპელი ემიგრანტის, მაგალითად, ჩეხ რენე უელეკის, რუსი ებრაელ რომან იაკობსონის, გერმანელების — ლეო სფოცერისა და ერიკ აუერბახის ღვაწლი: მათ შეაკვივრეს და გააძლიერეს ახალი კრიტიკის ფასეულობები, მიუთითეს მის ფილოსოფიურ საფუძველზე, სხვა ქვეყნების ლიტერატურულ მიმდინარეობებთან მის მსგავსებაზე და სხვ.

ახლა — საფუძვლებს დავუბრუნდეთ. უნდა გავხაზოთ ითხი თუ ხუთი უმეტესი. ა. ახალ კრიტიკას სურდა კრიტიკატურად წმინდა განსაკუთრებული სახის შექმნა: ლიტერატურა ადამიანის მსჯელობისა და აქტივობის დამოუკიდებელი, ავტონომიური სფეროა; ლიტერატურა არ არის მხოლოდ სხვაზე დამოკიდებული, უცხო ნერვზე ამოყრდელი მცენარე; ახალი კრიტიკის ადვოკატთათვის ლიტერატურა თავისუფალ დღიბეულებათა საუფლოა, შესაძლოა, სწორედ ისაა ადამიანური თავისუფლების სასკოლო განსახიერება. ფაქტობრივად, ლიტერატურა უნდა მივიჩნიოთ რელიგიის ერთგვარ საცავად (სხვაგვარად რომ ვთქვათ, ლიტერატურა რელიგიის ნაცვალაა). ბ. ახალი კრიტიკა უნდა გავიგოთ როგორც ხიდი, კავშირი და ტრადიციას (ლიტერატურის კანონიერი დონე) და ახალ მგრძობილებასა და ფორმალურ ექსპერიმენტებს შორის. მისი მოვალეობაა ამ უწყვეტობის ადამუშავება და განმარტება; მან არ უნდა დაართოს წარბა "რეკლუციური" გარდატეხასა და უფსკრულიის ნებმოქმნას; გ. ახალმა კრიტიკამ თავი ანტირომანტიკულად გამოაცხადა: სენტიმენტალიზმის, ემოციონალიზმის, ურნებადობის, უაიდურესი დახვეწილობის ნაცვლად, წესრიგს, თანმიმდევრულობას, ლოგატიკობას, სინატიფეს ამჯობინებდა. ახალი კრიტიკა ცდილობდა მცენიერების ანალოგიად ჩამოყალიბებულიყო: ისევე, როგორც ქიმა შერისაგლის ნეოთიერებისა თუ სავანის ჰემიურ შედგენილობას წინადა, ლოკაური, სამეცნიერო გზებით, კრიტიკამაც აწვავრადეფი იმიტურად, ხუსტად, ნესების თანახმად უნდა მიაკვლიოს ლიტერატურულ თხზულებაში ლიტერატურულ სუბსტანციას. დ. ახალი კრიტიკა საზოგადოებრივ გამოხატავდა კონსერვატივ მდგომარეობას, კლასიკური ჰუმანიზმისა და დიდ ადამიანურ ფასეულობათა პოზიციებს.

ეს. ელიოტის მნიშვნელობა. ელიოტი ინგლისურენოვან ლიტერატურაში ის ფიგურა გახლდათ, როგორც თეთიონ მიადმნებდა, რომელიც ერთდროულად განასახიერებდა დიდი პოეტისა და დიდ კრიტიკოსის. მის გვერდით უნდა მოვიხსენიოთ XVI საუკუნის ბოლოს მოღვაწე სერ ფილიპ სიდნეი, XVII საუკუნის დასაბამის მოღვაწე ბენ ჯონსონი, XVII საუკუნის დასასრულის მოღვაწე ჯონ დრაიდენი, კლარენჯი რომანტიზმის უპოქამი და, ალბათ, სხვებიც. ელიოტმა პიონერის როლი შეასრულა ინგლისისა და ამერიკისათვის თავისი ფუთქებები ახალი

პოეზიით. მაგრამ იმავდროულად იგი კრიტიკულ და სოციალურ-პოლიტიკურ სვეებსაც წერდა. მისი ღვაწლი ასე შეიღება განისაზღვროს: მან მიუთითა, რომ შექსპირი არ ყოფილა უნიკალური, სწორპოეზიარი პოეტისა მას გარს ეკრა ე.წ. "ელიოტბაბითისა და ჯეიმზის ხაზის" დიდი ფიგურები, ქრისტოფერ მერლოუ და ქაიდი, ბენიონტი და ფლტეტერი, მერსთონი, უებსთერი, შენიერერი, ჩემპინი და სხვ. ელიოტმა გვიჩვენა, რომ XIX საუკუნის ბრიტანული პოეზია საქმოდ არაორიგინალური, ემიგონური, სუსტი იყო; XVII და XVIII საუკუნეთა კლასიკური ტრადიცია კი უფრო თვითმყოფადი, ძლიერი, იდეურად მდიდარი და თანმიმდევრული. ელიოტმა განაკითარა რამდენიმე თეორიული დოქტრინა. ერთი მათგანია კანონი ანუ დიდ ნაწარმოებთა შექმნის წესი, რომელსაც ელიოტი ადნერდა, როგორც პრიციებს და არა — ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრებულს, მჭარს, ჩამოყალიბებულს. მეორე გახლავთ ე.წ. "ნიმუხიანალური სისყება", რომელშიც ელიოტა კი არ პრეცედენტებს, არამედ — კომპინირებულ სახეთა სიმრავლედ ყველა ამ თეორიას უჩვეულოდ დიდი გავლენა ჰქონდა როგორც ახალ კრიტიკაზე, ისე — ბრიტანულ კრიტიკაზე.

რა შემოგვთავაზავს ახალმა კრიტიკამ? რამდენიმე ლიტერატურულ დებულებას უკვე შევეხეთ. დავამატოთ ახალ დასაბუთებელი. ახალ კრიტიკას სურვლად არ უარსუვია ისტორიული ასექტები, როგორც აბრალებენ. ახლამ კრიტიკოსებმა შენიშნეს ენობრივი ცვლილებანი (მაგალითად, საუკუნეთა ცვალებას რომ მოჰყვება ხოლმე), გამოკვეთეს ალუზიების მნიშვნელობა (მითოლოგიური, ისტორიული და სხვ.) შეცნობა. თუმც, როგორც ხშირად უთქვამთ, "ლეკის კი არ უნდა აღინშნავდეს, არამედ უნდა იყოს" თხზილოგიური, ეგზეგეტიკური, არსებული, რუნბრივი ობიექტი, მცენარე, მინერალი, ცხოველი, რაღაც ორგანული და არა — რაიმე მიღვეის ინსტრუმენტი". ლიტერატურული თხზულება გამომხატავდა სამყაროს სიმადრის, მრავალფეროვნებისა და თავისებურებისადმი გაღებულ ხარკს. კრიტიკოსის მოვალეობაა, ახსნას ლიტერატურული ნაშრომის თანხმირება, თანმიმდევრულობა, ნაწილებს შორის არსებული კავშირი. პოეტური სახე ინტელექტუალური სტრუქტურების დეკორატიულ დამატებად კი არ აღიქვას, არამედ აუცილებლად ნაწილად, ისევე, როგორც, მაგალითად — ყვავილი, ფესვები, ღერო, ფოთლები, კვიტრ ერთმანებდა და მოკიდებულად და ერთმანეთს უკავშირებდა. ამ თვალსაზრისით, ხელეღნება უფრო ახლოს დგას ბუნებასთან, ვიდრე — ნებისმიერი თეორია, რადგან თეორიები აბსტრაქტული, მყარი და მარტივია. ახალმა კრიტიკოსებმა მიზნად დაიხსნეს ამ ლანგვისტურ სქელ სტრუქტურებში შეღწევა, რომელმაც სახე უცვლავა სიმარტევი. ლიტერატურული ნაწარმოები ჩონჩხად უკვე აღარ აღიქმებოდა.

ახალი კრიტიკის მასობრივი გავლენა ვრცელდებოდა დახლოებით 1985 წლამდე, როცა ისეთი ახალი მეთოდები გამოჩნდა, როგორებიცაა არქეტეპულ-მიოლოგიური, სოციოლოგიურ-მარქსისტული, სტრუქტურალისტური, ძალაუფლების თეორია, დეკონსტრუქტიული და ბოლოს — ფემინისტური. დღესდღეობით

ამერიკაში მათ მემკვიდრედ უნდა ჩავთვალოთ „ნეოკონ-რეზიზმის“ სახელით გაფორმებული მოძრაობა და ენ. "მინისტრეფეთი", რომელიც კრიტიკული მეთოდების ლაბორატორიები არსებობს. ანუ დეკონსტრუქტივისტებმა-ც, ფუნქციონალმა და სხვებმა უკეთესად მიიჩნიეს, დაყრდნობდნენ "გამონვლილვით კითხვას", რათა მასზე აგეთოთ თეორიული ინტერპრეტაციები.

შიდი, ახლა „პოლიტიკურულომას“ შეეცხოთ. ეს „ახალი კრიტიკის“ საწინააღმდეგო თეორიების სინთეზური სახეა (მათ უმრავლესობას აერთიანებს): იდეოლოგიური, მემარცხენე ორიენტაციის, მაგრამ მათ წარმომადგენელთა შორის ყველა როდია კომუნისტი. არაფერს ვიტყვი მის როლზე ამერიკულ და დასავლურ საზოგადოებაში, მხოლოდ ლიტერატურულ კრიტიკაზე მის ზეგავლენას შევეხები.

"პოლიტიკურულომას" ლიტერატურული პროდუქცია ან მისი ეკვივალენტი სახელდება "კულტურულმატერიალიზმად", რომელსაც ხანდახან "ახალ ისტორიზმსაც" ეძახიან. მის წარმოშობას ორმა მთავარმა კომპონენტმა შეუნყო ხელი: პირველია "ნეომარქსიზმი". ვგულისხმობთ არა მყარ, კლასიკურ, ფანაჯიკოსა თუ საბჭოთა სისტემის მარქსიზმს, არამედ ფრანკფურტსა (1930) და ნიუ-იორკში (1940) დაფუძნებულ სკოლებს. ეს იყო უფრო მოწილი სისტემა, რომელიც უზღავდა მარქსისტულ ელემენტებს, მაგრამ უმეტესად "ახალგაზრდა მარქსის" ნაშრომები, უფრო პეგელიანური ღირებულებები და ინტერპრეტაციები, სხვა ფილოსოფიური დებულებები აინტერესებს. მეცხრით უფრო მნიშვნელოვან ცვლილებასაც: ყველა ჩვენგანმა იცის, რომ ტრადიციული მარქსიზმი ეფუძნებოდა საკუთრების, სიბარბის, მიხვედის კონცეპტებს. დღეს "კულტურული მატერიალისტები" მიუბრუნდნენ ძალაუფლების კონცეპტს.

მისმა ზოგიერთმა ელემენტმა ცენტრალური მნიშვნელობა მოიპოვა. პირველი ის არის, რომ უნდა ვილაპარაკოთ არა თხზულებებზე, არამედ — ტექსტებზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მნიშვნელობა არა აქვს, რას ვიგულისხმებთ: ვესქაირის პიესას, დოსტოვესკის რომანს, პოლიტიკურ პამფლეტს, რელიგიურ ქადაგებას, საკანონმდებლო აქტს, ისტორიკოსს თუ ფილოსოფიის სახელმძღვანელოს — ყველაფერს, რაც დანერგია. ამ დოკუმენტებით იდეოლოგია გამოიხატება. ესთეტიკური შემთხვევა, კულტურული მატერიალისტების თეატალურ-რისით, რეაქციულია და, ამდენად, უნდა გაბათილდეს, უნდა უსუვავდეთ. ყველა ტექსტი, განსაკუთრებით კი ლიტერატურულობის პრეტენზიის მქონეები, გამომატებს ძალაუფლებისათვის ბრძოლას, კლასებს, სქესთა, რასათა კონფლიქტებს. საბოლოოდ, ადამიანის აქტივობის რეალობა არის არა სიყვარული და მიმზიდველობა, არამედ — უბედურება, დაპირისპირება, სიძულვილი.

"ახალი ისტორიზმი" თუ "კულტურული მატერიალიზმი" ასევე ხელს უწყობს იმას, რომ არ იწამოს ლიტერატურული თხზულების ღირებულება, შეექვდნენ მასში. კრიტიკოსის მოვალეობაა, "აღმოაჩინოს", ასე ვთქვათ, დაფრული მნიშვნელობა და გამოიყნოს ისტორიის ცოდნა ტექსტის ასახსნელად. ესთეტიკური დასეულობა, მათი აზრით, მეორეხარისხოვანია.

აქედან ორი შედეგი გამოიმდინარეობს: პირველი საკმაოდ სვედინია და აღმაშფოთებელი. მის თანახმად, ლიტერატურას მიგნდვან აფექტებს უნივერსიტეტ ან ის, რასაც ხალხი კითხულობს. ამერიკის უნივერსიტეტთა უმრავლესობის სწავლება გულსინძობს დეტექტიურ მოთხრობებს, პოპულარულ და კომერციულ ოპუსებს, პორნოგრაფიასაც კი.

მეორე შედეგი უფრო სერიოზულია, რომელიც ენ. „კანონს“ შეეხება. „ლიტერატურულ კანონად“ ჩვენ გვესმის თხზულებები, რომლებიც პატივისცემითა და თაყვანისცემით სარგებლობს, ჩართულია ანთოლოგიებში, ყველა სასწავლო კლასის კურსიკლებში, რომელთა ნაკითხვაც რეკომენდებულია. დღეს კულტურული მატერიალისტები, ფუნქციონალისტები, დეკონსტრუქტივისტებმა და სხვებთან ერთად, ასახუთებენ, რომ კანონი (როგორც ინგლისურ, ისე სხვა ენებში) როგორღაც "უმართებელია", რომ ის განპირობებულია პატრიარქალური, შესაძლოა რასისტული, კლასობრივით შერყენილი სისტემის გაგრძელების გადარჩენის სურვილით. შემდეგი ნაბიჯი იყო კანონის მოდიფიცირება იმ შრომების გამოვლენის შედეგად, რომლებსაც ჩვეულებრივ განიხილვენ მეორე რანგისად ან მარგინალურად. ამ სტრატეგიის უბედურება ისაა, რომ კანონიზება შესაძლოა მოხდეს უფრო დამოკიდებულად, ობიექტურად, ზოგ უმოყვაროთა და კრიტიკოსთა დასყვეთა გაუთვალისწინებლად. დაიხ, თქვენ შეგიძლიათ სკოლებსა და უნივერსიტეტების სასწავლო გეგმასა და პროგრამათა შეცვლა, მაგრამ დიდ მწერლებს ირვეს აუღიქვორია, სხვა მწერალი, გრძნობა, აზრი და არა — რომელიმე კომიტეტით. თუმც უარყოფითი ისიცაა, რომ სწავლობს პროცესი ნაკლებლია და უმედი.

მე არ ვთავაზობთ რაიმე სახის დასკვნას, ვთქვათ, ასეთს: "ვინ გაიმარჯვებს?" "რა მოგველის მომავალში?" ან ა.შ. მწელია ამის თქმა, რადგან ჩვენ ნინასარმეცხველები არა ვართ. ხალხმა შესაძლოა არც მომავალში ნაიკითხოს ლიტერატურა ან საერთოდ, რამე... მეორე მხრივ, რამდენიმე ნიშანს ვაჩვენებ.

**პირველი.** ამერიკაში დანყვებული და განვითარებული "ნეოფორმალიზმად" წოდებული მოძრაობა ფებს იკიდებს ერთგვარსა და უნივერსიტეტებში.

**მეორე.** როგორც ადრე ვთქვი, "გამონვლილვით კითხვის" მეთოდი მკვიდრდება ყუილეკარ კრიტიკაში, რაც ბუნებრივი, საინტელექტუალ და აუცილებელიც კი მგონია.

**მესამე.** შეიმჩნევა ახალ მოძრაობათა აქტივობაც, ისეთების, როგორიცაა "ლიტერატურა და რელიგია", "რელიგია და მეცნიერება", "ლიტერატურა და სხვა მეცნიერებანი", რომლებიც უფრო ახალი კრიტიკის პრინციპებთან დაახლოებულინი მგონია, ვიდრე — კულტურული მატერიალიზმითა.

**მეოთხე.** ტელევიზია, კინო და სხვა მედიები თავიანთ ყურადღებას უშობენ არა მარგინალურ, არამედ — კანონიკურ თხზულებებს, რითაც ისინი კლასიკური ლიტერატურის ახალ გამოცემებთან ერთად უფრო უფრო გვიახლოვდებიან. ეს ხშირად ხდება.

უფრო მნიშვნელოვანი კი არ, რა: მნამს, რომ კაცობრიობას, ადამიანის სულსა და გონებას განსაკუთრებული რამეც

საქართველოს  
საზოგადოებრივი  
მედიის ცენტრი  
საქართველო



ბი სჭირდება: ამბავი, მშვენიერება, თამაში, წარმოსახვა და ა.შ. ეს სხვადასხვაგვარად შეიძლება გამოიხატოს საუკუნეთა და ათასწლეულის შემდეგაც. ასეთი საჭიროება არც დღეს გამქრალა. ვიჭირობ, გაქრობა არც მომავალში უწერია. შესაძლოა, ძალზე შორეულ მომავალში, როცა ადამიანის ბუნება რადიკალურად, სრულად შეიცვლება,

ხელოვნებისა და ლიტერატურის საჭიროებაც გაქრეს, მაგრამ ამის გათვლა და წარმოადგენა იმდენად ძნელია, რომ მოთმინებით მოლოდინი სუფობა აზრის გამოთქმას.

ინგლისურიდან თარგმანა  
გინა ჯოსხაძე

დილოზი

# „სიზრებოც უნდა ვიზრდოდეთ საქართველოსთვის“

## თამარ შაიხმაღაშვილს ესაუბრაბა ქეთევან შინგელია

— რამ შთაგაგონათ ლექსის წერა და რაზე იყო თქვენი პირველი ლექსი?

— უპირველეს ყოვლისა ვისარგებლებ შემთხვევით და პატივისცემით მივსალამებო მკითხველს: რაც შეეხება პირველ ლექსს... შეეძქეს თუ მეფიდე კლასში ვიყავი გადასული, საზაფხულო არდადეგებზე მანგლისში მსვენებდნენ და იქ დავეწერე ლექსი პევილახე.

— ეიცო, თანამიმდევრულად თუ მიყვებით... სტუდენტობიდან გიბჭდავდნენ ლექსებს ლიტერატურულ ფურნალ-გაზეთებში, შემდეგ უკვე თანამშრომლობით და თანამშრომლობით თქვენთვის საპატივცემულო ფურნალებთან. გამოცემული გაქვთ რამდენიმე წიგნი და ამჟამადაც ელოდებით ახალი პოეტური კრებულის გამოსვლას; ლექსები შეტანილია სხვადასხვა ანთოლოგიაში; კალენდრებში; ითარგმნა კიდეც. გაიმართა თქვენი რვა პერსონალური საღამოც; შოთა რუსთაველის საზოგადოებაში, ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მეგორიალურ მუზეუმში, ორჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ორჯერ ტექნიკურ უნივერსიტეტში (მაშინ პოლიტექნიკური ინსტიტუტი ერქვა), ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმში და სკოლაში. მონაწილეობით რადიო და ტელესამაშუყველო გადაცემებშიც. ხართ რამდენიმე სამწერლო გაერთიანების წევრი. თსუ-ში ხელმძღვანელობთ ლიტერატურულ სახელოსნოს... და მაინც, ორი სიტყვით, როგორი იყო თქვენი გზა პოეზიაში?

— ორი სიტყვით თუ შეიძლება დავახასიათო, ალბათ ძალიან მძელვარე და დაკავშირებული ემოციებთან. ყველა ის ტყვილი, რომელიც ცხოვრებაში შემხვედრია, აისახა ჩემს ლექსებში.

როგორ არჩევთ კრებულის სათაურს?



— პოეტური კრებულისათვის ლექსის რომელიმე ფრაზას ან ლექსის სათაურს ვირჩევ, ოღონდ ეს ზოგჯერ ნეიტრალურია და განყენებული სიტყვებია (ასეთია „აკაცის ხეივანი“); ხან, ის ცხოვრების რომელიმე ეტაპზე ჩემს განწყობილებას გამოხატავს. მაგალითად: „თოვლით თეთრი მწუხარება“, „ცხოვრების სუსტი“. რაც შეეხება წიგნად გამოცემული მონოგრაფიის სათაურს — „ქართველ მწერალთა შემოქმედებითი მიმართებები ვაჟა-ფშაველასთან“ — ამ შემთხვევაში სამეცნიერო ნაშრომის სტანდარტებს გაფუნეი ანგარიში; ესეების კრებულს სათაური — „შისიფერი ქუდი“ — ფიროსმანზე დაწერილი ესეს გამო დავარქვამწერალთა შემოქმედებითი მიმართებები ვაჟა-ფშაველასთან, მის შესახებ, თქვენი ნებართვით, ცოტა მოვიკანაფით ვისაუბრებ.

— დღეს ძალიან მოგვიკმედდნენ პოეტიკური-პუბლიცისტები, თქვენთვის რამდენად მისაღებაა პუბლიცისტური პოეზია?

— მე სხვაგვარ ესთეტიკას ვემსახურები; ლექსებში ლირიზმი, პოეტური ინტიმურობა, მედიტაციური „სექტრი“ მსიაშინებებს. ისე, თუ ლიტერატურული გემოვნება არ ღალატებს ავტორს და პუბლიცისტური პოეზია ურჩევნია, ვის რა ექნება საინააღმდეგო?

— ლექსების გარდა ხშირად ქვეყნდება თქვენი ესეები, მითხრობენ, ლიტერატურული წერილები. როდის წერთ, ლექსებსა და ლექსებს შუა?

— ცხადია, ჩემი საფიქრლო პოზიზას „ეკუთენის“; მაგრამ, ზოგჯერ ისეთი განწყობა ან ისეთი სათქმელა გაქვს, პროზა „გადავიბირებს“ თავისკენ. რა გამოდის, ეს მკითხველმა შეაფასოს. რაც შეეხება ლიტერატურულ წერილებს... ყოველი დიდი მწერლის ნაწარმოები აზრთა



სიძლიერით, ემოციური მუხტით, იდევით, თავისი ცხოვრებისეული ფილოსოფიით, საინტერესო და დაუცვლად. მასაც ადამიანით თავისი ბოგრაფია, თავისი ტრაგიკომი აქვს და ავტორის მიერ საბოლოოდ ნერტილდასხული თავისით მოიკვლევს ცხოვრების გზას. თავად უმკლავდება წლებისა და საუკუნეების "ფერთა ცვლილებებს". ამის გამო ხშირად ხარ მოხიბლული, ჩაუიქრებულა, შეარჩევ ზოგჯერ რომელიმე მათგანს (კიდევ რაღაც ამოცნობი მიზეზების გამო) და ასე ინერგება მათზე ლიტერატურული ნერლი.

— ხართ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ფილოლოგიური ფაკულტეტის გარდა და ამათავრეთ კინოსასტუდენტო და ფერწერის ფაკულტეტები, გეხმარებათ თუ არა ეს ლექსის წერაში?

— ყველანაირი განათლება ხელს უწყობს მწერლობას, მაგრამ განათლება კაცმა მინაც შეიძლება მიიღოს. ლექსის წერაში ეგ ნაკლებად მხებარება, ესეების წერაში შეტად, მათი უმრავლესობა მხატვრებზეა დანერლი.

— შეგას თუ არა პოეზია ფერწერას და რატომ?

— მე პოეზია უფრო ბალეტს მაგონებს; ბალეტშიც, მხოლოდ პროფესიული ტექნიკით და სიხუსტით არაფერი გამოვა. სულიერი განცდები უნდა აგრძნობინო მაყურებელს. ჩემთვის ასევეა ლექსიც.

— თქვენ ერთი ლექსის სტრიქონია: „ასე ლამაზად თუკი თენდება / რატომ ცეცმა ვაშლის ხეს მეხი“? რისი თქმა გინდობდა?

— ცხოვრებაში ხშირად რამე ურთიერთობის ან საქმის დახანისი შექმნილია იმეცნიერას, საბოლოოდ კი, ადამიანთა დაუდევრობის გამო, იმეცაგრეება გვანდაგრეებს ხოლმე; დაახლოებით ამის მანიშნებელია ეს სიტყვები.

— ერთგან ამბობთ, რომ „სამყარო გზადაგზა უამრავ ნუხილს და ცოტად სიხარულს გეტავაზობს“. ხომ ვერ დააოქნარებებთ?

— საქართველოს ისტორია ყოველთვის იყო ბრძოლა გადარჩენისათვის. არც ბოლო ოცნეულუცა გამონაყლისი. ფიქრეი ქვეყნის დაკარგული ტერიტორიები არა მერონია ვინმეს კარგ ხასიათზე აყენებდეს. ამის ვარდა, პარადი, მეგობრული ურთიერთობები მრავალგვარ მოულოდნელობასთან არის დაკავშირებული. ხშირია ისიც, როცა სიკეთეზე უგულისყურებით, ტყუილით ან დაუდევრობით ვგასუსობს ადამიანი. როცა გიყვარს ახლობლების თვალში, ფიქრები, მათთან ურთიერთობა და გულს გტყვენ, მერე, თითქმის გემინია ცხოვრების... ალბათ ამასაც გულისხმობს ამ კითხვაზე პასუხი.

— ვიცო, რომ გიყვართ მოგზაურობა, თქვენს ლექსებში ნახსენებია რომი, ფლორენცია, ვენეცია, პრადა, ბარსელონა, პარიზი... რამეს ხომ ვერ მოიგონებდით?

— საბულებად თუ მეძლევა, მირჩენია საინტერესო მუხეუმები ვთავალიერი და სხვა ხალხის ცხოვრებას გაეცემ. ბევრი რამის გახსენება შეიძლება. ამ ზაფხულის შთაბეჭდილებაზე გეტყვით ორ სიტყვას. აქ დაბრტალიებული უბედურების შემდეგ ვიყავი პარიზში. ერთ დღეს, როდენის მუხეუმში „სპოვანი მეგზურის“ არჩევის დროს გამომიკითხეს საიდან ვიყავი. აღმოჩნდა, რომ ჩვენთან

დაბრტალიებული მოვლენების შესახებ ყველაფერი კარგად იცოდენ. მაინც გამომიკითხეს ამბები. ომის შესახებ მოუყუყვი. ინგლისელების პატარა ჯგუფი იყო შემოსული მუხეუმში. ისინი ჩემს გარშემო განსკრეოდენ, ცალი ხელი ყველამ ზეითი შემარცა და რუსეთის სანინალმდეგო შედახილები გაგრძელდა ერთი-ორი ნუითი, მერე ხელი ჩამომართვეს მოსამიძრების მინადა. ხელი ჩამომართვეს იქ შეყოფდა ფრანგებზეც და ამოვანი მეგზურის“ ფული არაფრით არ გამომართვეს. მე ვიკუდრისე, მაგრამ არაფერი გამოვიდა. უჩვეულად და სახიამოვნოა, როცა შე დღემი ყვეოფ შენს ქვეყანას არა პოლიტიკოსები, არამედ ჩვეულებრივი ხალხი ასე უქტრს მხარს.

— ომი... ჩვენი თაობა აგვისტოს საშინელებას მოესწრო, რას გრძობს პოეტის სული?

— ერთი სიტყვით რომ გამოვხატო, არადადამიანურად ვიტანჯები, განსაკუთრებით მაკარგვინებს ნონსანონრობას ლტოლვილი ბავშვების გახსენება. ყველაზე უარესი და ცუდია ის ამბავი, რომ ჩვენს მინა-წყალზე პრეტენზიას აცხადებს უცხო ქვეყნა და ჯერჯერობით „მითვისებულები“ აქვს, რაც უნდა. ჩემი საყვარელი ზღაპარია ნაცარქექია. მან გადაწყვიტა უსარმაზარი, ბნელი ძალა საზინაზობით დაემარცხებინა. იმედ მაქვს, რომ ამ ბავშვაყვეს — რუსეთს, ქართველი ხალხი(და, არა რომელიმე მთავრობა), თავისი ბრძოლი არჩევანით და რამე ხერხით უკან დაახეინებს. არსებული სიტუაციის მიმართ, ჩვენს ფერტიმ გაჩენილი დასახეები შემგულებობა და „ყურების ჩამოყრა“ რუსეთის გამარჯვების წინაპირობა იქნება. ჩვენ სიხმრებშიც კი უნდა ეიბრძოდეთ საქართველოსთვის.

— თქვენ ამბობთ: „ორი ტკივილი და ბედნიერება მინთია გულში: საქართველო და შვილი“, ხომ არ დაიკარგა ეს განცდა დღევანდელბობაში?

— პირიქით... დაღბინებულები იქნება თუ გაჭირვებული სამშობლო ან შვილი, როგორ შეიძლება მათ მიმართ გრძობა გაგინდლეს?

— თქვენ ხელმძღვანელობთ თსუ-ს „ლიტერატურულ სახელოსნოს“, ვიცი რომ ახალგაზრდა თაობაზე ბევრი ამავა გაქეთ, თქვენ რა შეტქინაა მათთან ურთიერთობაში, როგორც პოეტს?

— უკვე მესამე თაობას ვისტუმრებ, რაც შემიძლია ყველანაირად გეხმარები მათ, სტუდენტების ლექსების პირველი შეფასება და პოეზიის სალამოდა მსოედ იქ ტარდება. ცვდილობ „შემოდგან ფეხი“ საინტერესო სამყაროში. ხშირ შემთხვევაში ვახერხებთ კიდევ ამას. მათ ლექსებს საქმავ დროს ვუთმობ. მათგანაც ყოველთვის ვგრძნობს სიყვარულს.

— რამედ საინტერესო შემთხვევას ხომ ვერ გაიხსენებდით?

— ერთხელ დამირეკეს: „ქალბატონო ქეთი, კონკურსი გვაქვს და ჟიურიში ხართ მინეული, მოზრძინდითო“. მე გამივიკრედა, არაფერი არ იტეგმებოდა ამ დღემი უნივერსიტეტში, თანაც ყველა ის სალამო ჩავატარი მათთვის, რაც მთხოვს. ძალიან დაღლილი ვიყავი. მათრით ნაყედი, რაღა დგომილად ცოტად ნავიზულუნე კიდევ. მოვიმარჯვე კალამი, საქალადე და შევედი





თსუ-ს სხდომათა დარბაზში. შემეგება ტაში, რა ხედებათუ ვიციოთ. დარბაზი სავეი იყო სტუდენტებით. თქვენი პოეზიის საღამოაო მითხრეს. გამტერებული დაგრჩი. კიხთულობდენ და ზუპირად ამბობდენ ჩემს ლექსებს. მივიღე უამრავი ყვავილი. არ ვიცი, ვიყავი თუ არა ღირსი, მაგრამ მათ ივლი სიხარული მომანიჭეს. გამოლოცდებოდი იყვენ თორემ, რომ ეთქვათ, რამდენიმე აბლომულს მინც ვეტყვიდი. ეთქვათ სრულიად მარტო, როგორც მაყურებელი და გული მწყებოდა, რომ გვერდზე ამ სიხარულს გამზიარებელი არავინ მეუდა. შემთხვევით უნივერსიტეტის დერეფანში მიმავალმა ჩემმა მეგობარმა, რომელიც სრულიად სხვა საქმეზე იყო იქ მოსული, ტაშის ხმა გაიგო და შემოიხედა დარბაზში. ზელი დაეუწინე. შემოვიდა, ჩემს უკან დაჯდა. ვერ ვავაგებინო? მისაყვედურა, ვერ ხედავ, მარტო შენ რომ ხარ ჩვენი ნაცნობებიდან არც მე ვიციდი მეუთი. ერთი სიტყვით, გულარუყვებელი დავტარედი მის. მე მინდა მადლობა გადავუხადო მათ ამ სიყვარულისთვის. ეს დღე არასდროს დამავიწყდება. ისინი უკვე სამი წელია დაუმშვიდობდენ უნივერსიტეტს. თუ ნაიკეთავენ შემთხვევით, ხომ კარგი თუ არა, მე მეყვრა, რომ მათ ეს თვისება — მიანიჭონ თავიანთ სიხარული — ძლიერ ადამიანებად აქცევს... თათის საქმეს სერიოზულად ეკვიდებან, აქეთ ლამაზი მიხნები. მეამაყება, რომ ასეთი კარგები არან.

— დღემდა გრძელდება თქვენი მეგობრობა, რა ნარმატებში მიაღწიეს მათ?

— ჩემი სახელოსნოს სტუდენტები უკვე იმარჯვებენ სხვადასხვა კონკურსებში: სწორედ ახლახან, ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმში ჩატარდა კონკურსი სახელმწიფოთი „მცირე პროზა“, პირველი ნომინაცია — „მწერლური ოსტატობა“ მიიღო სალომე შენგელიძემ, რომელიც „ლიტერატურულ სახელოსნოში“ გაერთიანებული. ნელს თსუ-შიც ჩატარდა ლიტერატურული კონკურსი სტუდენტებისთვის. აქაც ამ სახელოსნოს სტუდენტებმა გამოიჩინეს თავი. ვინც გამორჩეულად ნიჭიერი იყო და არის მათ უკვე შეაღეს „ლიტერატურის ჯადოსნური კარი“ და მათი შემოქმედება ჟურნალ-გაზეთებში ქვეყნდება. საგანგებო არ გამოვარჩევ გვარებს, რადგან არაერთი არ ვაწყენინებ დანარჩენებს. მე ისინი ყველა ერთნაირად მიყვარს. „ლიტერატურულ სახელოსნოში“ მახუე კარგი რა უნდა დღეობდეს?

— ხომ არ ფიქრობთ, რომ თაობათა შორის კავშირი განყდა პოეზიაში?

— არ ფიქრობ ასე.  
 — თქვენი ლექსიდან არის: „ო, ზედისწერავ, ახლა ნინ ვერ ამეფარები“ ისე, ემორჩილებით ზედისწერას? — სიტყვა ზედისწერა არ მსიამოვნებს, თითქოს დამოუკიდებლობას მაკარგვინებს, მე მირჩევნია „რასაც ვეთესავთ, იმას ვიკვიდეთ“. ისე წინააღმდეგობის განცეას ვედილობ, როცა რამე ცუდად მიდის. ადვილად არ ვემორჩილები. რა გამოდის, ეგ სხვა საქმეა.  
 — თქვენი ერთ-ერთი ესე ომარ ღურმიშიძეს ეძღვნება. გაქვთ ესეები ფიროსმანზე, ზურაბ ნიჭარაძეზე, პიკასოზე, დელაკრუაზე, პოეტებიდან

დიკინსონზე, რატომ მაინცდამაინც დღურმიშიძეზე? მას ლექსიც უძეგნით.

— ის კარგი მხატვარი და ღირსეული ადამიანი იყო. ახალგაზრდა და დაუფასებელი წავიდა ამ ქვეყნიდან. არ აღირსეს სახელოსნო, საქმად ხშირად იყო ეს ჯანმრთელობაშერყვეული კაცი უსახსრო მდგომარეობაშიც. არ უყვარდა წუნწი. ღამის მხატვარს ეხებდენ. ერთხელ, ეგრეთნოდელი „კომენდანტის საათის“ დროს (ეს იყო 9 აპრილის შემდეგ), ღამე ქუჩაში იდგა და ხატავდა. წესრიგის დამცველებმა დააკავეს, ნაიყვანეს და სცემეს: ამ დროს ხატვას როგორ მეუდა... მასზე ბევრი რამის მოყოლა შეიძლება... შესანიშნავი ნახატები დატოვა. ღამის თბილისი გამორჩეული თემაა მის შემოქმედებაში. ომარ ღურმიშიძის ადამიანური ისტორია ძალიან ჰგავს მის მშვენიერ შემოქმედებას. ალბათ ამიტომ დავწერე მასზე. სამუხებაროდ, თვითონ ვერც ის ლექსი ნაიკეთა და ვერც ესე.

— თქვენი წერილის ერთ-ერთი ადრესატი კარლო ფაჩულიაც იყო, რას გვეტყვიოთ მასზე?

— ზატონმა კარლომ თავისი შემოქმედებით დიდი საზახური გაუწია ქართულ მწერლობას, მის მიერ შესანიშნავად არის გაფორმებული არაერთი თანამედროვე მწერლისა თუ კლასიკოსის წიგნი. ამიტომ, გარდა იმისა, რომ კარგი მხატვარია, ის მწერლების მეგობარიც გახლავთ.

— სიმარტოვე ჰქვია თქვენს ერთ-ერთ ლექსს, რამდენად ახლოა ეს თქვენს ზუნებასთან?

— არავის არ მოსონს სიმარტოვე, ადამიანებს შორის ვარჩნილი გაუგებრობის უფსკრული მძიმე ასატანია. ხშირად ვყოფილვარ ასე, ალბათ როგორც სხვა ბევრი...

— რა არის თქვენთვის მეგობრობა და რას ვერ ამატებდით მეგობრობას?

— მეგობრობა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი რამეა. მხოლოდ ერთი რამ მაქვს ქვეყნად სატრიაბათო, სხვა არაფერი. არასდროს არცერთი მეგობრისთვის უარი არ მითქვამს დახმარებაზე, თუკი რამე შემძლება. საერთოდ, ადამიანს ბევრი რამ უნდა ააბატი, იმიტომ, რომ ბევრი რამ გვეჭირს საბატეველი. ვამიჭირდებოდა მისეც ადამიანური ღალატის მოთმენა. სამუნებაროდ, ამას შევხვედრივარ და გულიც თითქმის გამშეთია.

— ის ძვირფასი დრო, რომელსაც პოეზია ითხოვს, ხომ არ იკარგება ოჯახის საქმეებში, სამსახურში, სამცენიერი მუშაობაში, არ არის ძნელი რომ იყო ჰოტიცი, დედაც, მეუღლეც?

— თუ მუდმივად ფიქრობს ადამიანი, ცხოვრება ყოველთვის ძალიან ძნელია. არავის არ უღირს მუდმივად. ამიტომ წუნწის ვერ ვაგებდავ.

— ვიცი რომ არსებობს თქვენი რამოდენიმე წიგნი და ახლაც გამოდის ახალი ორეზული, რანა თქვენი წიგნები?

— ცხოვრებაზე...  
 — რა ტეკვილი აქვს ჩვენს თაობას?  
 — ყველანივარ, რაც შეიძლება არსებობდეს. ჩემი თაობა ძალიან ტრავიკული და ძალიან კარგია.





გვი აღზაზიშვილი

# მომავალი ნარსული

ბაბრა, 1979 წელი

სასადლო, კლუბი და ის ოთახი, სადაც ტელევიზორი იდგა, გზის მეორე მხარეს იყო, ხოლო აქეთ, ზღვისკენ, ნაპირიდან რამდენიმე მეტრში, გაგრის ლიტფონდის დასახელებული სახლის მთავარი კარბული და ძველი შენობები იყო განლაგებული, სადაც ყველა დამსვენებელს, მწერლებს, მათ ოჯახებს, თავიანთი ოთახები ჰქონდათ. ჩასვლისთანავე ადმინისტრაციამ მივედით, საგზურები ნარსულად გვიღებდა და ჩვენს დარეგისტრირებას ველოდი, როცა ერთმა ქალბატონმა ჩემს უმცროს შვილზე გაამახვილა ყურადღება და მისი ასაკი იკითხა.

— ხუთი წლისაა, აზლახან მუსარულა ხუთი წლის. დასასვენებელი სახლის ადმინისტრატორმა მწერები აიჩრება და მხოვოა ბავშვის მეტროსა შეჩვენებინა.

— საიდან მოვიტანეთ მეტროსა, თბილისში დავბრუნდეთ და ჩამოვიტანო? ვინ ამინაზღაურებს მგზავრობის ხარჯებს?

ჩოჩქოლზე სხვა მწერლებიც გამოჩნდნენ და საუბარში ჩაერთვნენ. ადმინისტრატორმა გადაიფიქრა ჩემი თბილისში გამგზავრება ბავშვის მეტროსის ჩამოსატანად, მაგრამ მაინც დაეჭვდა, რომ ბიჭი ხუთი წლის იყო და ჩაილაპარაკა: — ხარამო, ვერო, ჩტო ეტომო მალჩიკო პიატ ლეტ, ნო მალჩიკ სლიკოჲმ მელიკი.

სიცოცხლე ძლივს შევიკავე, ბავშვი სინამდვილეში სამი წლის იყო და პატარად რომ მოჩვენებოდა, რა გასაკვირობა.

მწერალთა შემოქმედებით სახლში არსებული ნესდების თანახმად, იკრძალებოდა ხუთ წლამდე ბავშვების მიღება. შეძლოთ ამის გამო შარი მოეღოთ და ბავშვის უკან ნაყვანა მოთხოვით. ამ აკრძალვის მიზეზის ის გახლდათ, რომ შეუნარჩუნებინათ მშვიდი გარემო მწერლებისთვის, ხელი არ შეშლიათ შემოქმედებით საქმიანობაში.

მწერლების სპონსორი გამოქიმავენებს ვერ შეენიანაზღაურებდა ადმინისტრატორი, თავისთვის კი ჩაილულღულა, რა მენაღვლება, ხელი თქვენ შეეცლებაო.

ჩემი გახეხილი ჯინსები, ბებიამისმა რომ გადაუკეთა ჩემს სამი წლის ლაშას, ისე ეცვა, თითქმის ჯინსები ყოფილიყო დაბადებული და, ჩემად გასაკვირადა, ძალიან ჭკვიანად იქცეოდა, არ ცველიებოდა. ადმინისტრაციული კორპუსიდან რომ გავიქვეთ, გზა გადავჭყრიეთ და ჩვენი ბიჭისკენ გავემართეთ, ბოლომდე აინვიტა და მოჰყვა იქით-აქით სირბილს, ვიდრე ერთმა ქალბატონმა, როგორც მერე გამოვიკვირე, ბელა ახმადლონიამ არ შეაჩერა და არ გამოვლანაპარაკა. მაშინ გავიკვინე ბელა ახმადლონი — შესანიშნავი პოეტი, ჩემი წინა თაობის ქართველი მწერლების მე-

გობარი და მთარგმნელი. ბელამ ბიჭის სახელი იკითხა და ჩაილაპარაკა:

— კაკე სატარიე ჯინსი, ი ტაკოი მაღადოი ლაშა.

პირველი საუბარი ბელასთან ისეთი იყო, როგორც უნდა ყოფილიყო. საყოველთაოდ აღიარებულ პოეტს ვესაუბრებოდი მორიდებულად, თან, ცხადია, მეტყობოდა, სრულიად ბუნებრივად, პატივისცემით ვიყავი მის მიმართ გამსჭვალული.

იმხანად გაგრამი ისვენებდა გელა ჩარკვიანი მეუღლესა და შვილებთან ერთად. ირაკლი, ჩაპუსკუნებული მოზარდი, მოკლე მარვალსა და კუმოკრულ ხალათში გამონყობილ დასეირნობდა ბაღში. მოგვიანებით, ოთხმოციანი წლების მიწურულს, „ციხკარში“ მესტუმრა, როგორც ავტორი და თავის ლექსები წამაქითხა.

გელა ჩარკვიანმა მოხოვა, სახალისო ლექსი მიმეძღვნა ბელასთან. მერე თითოეო კი ეცდებოდა ლექსზე მუსიკა დაეწერა და ლექსს სიმღერად აქცევდა. დიდი ხალისი არ გამოიმჩინა, მაგრამ გელას უარი ვერ ვუთხარა და დავეწერე ორიზიულ-პაროდული ლექსი ბელაზე — თუ როგორ მიემართება ყოველ დღითი კაფემი ასი გრამის დასაღვავად და იქიდან ხალისიანი ბრუნდება, რომ ისევ მოუწევს იმავე გზის გავლა თავის ოთახსა და კაფეს შორის და რომ შეუნიშნავად გადის დრო, რომელიც მწესთან ერთად გამსჭვალავს სტეულს და ალკოჰოლი ამრეღებს ძარღვებს. ვფიქრობდი, რომ გელა დამინუნებდა ლექსს, არც სიმღერა დაინერგოდა და თავს დადამებებდა. ჩემვდა გასაკვიროდა, გელა აღდრთოვანდა ირინოული ტესტით, რომელიც ბელას მუდმივ მარშრუტს აღწერდა და ხელნაწერი გამომართავდა, თან გულანად იცინოდა.

არ გასულა რიოდი დღე, გელამ რომ კლუბში დამიძახა და შემოსივარა სიმღერა ბელაზე. მშვენივრად უქარბა ფორტეპიანოზე, მელოდიაც ხანსტერესო იყო და, საერთოდ, მომხიბლა ამ დაამიანის მრავალმზრინა ნიქმა და იმხან, რომ უტრისტი არ აღმოჩნდა და ჩემი ორიზიულ-პაროდული ტექსტი სულაც არ იუბერხულა. პირიქით, სწორედ სითამამის გამო მოვინონა. სიმღერა მშვენივრად უდრდა და მშვეუქე ავტორს. დავნიშნეთ დღე, როცა კლუბში უნდა მოგვეწვია ბელა ახმადლონი, მაგრამ რამდენჯერმე ვერ მოახერხა მოსვლა, ჩვეულებრივი და უმარტივესი მიზეზის გამო, გამოხიზნულების პაუზა ვერ გამოიქვინა და ჩვენც მოითხოვეთ ველოდით ბედნიერ შემოსივარას.

ტელევიზორის ოთახში, სადაც დამსვენებლები თავს იყრიდნენ ფიჭურთის ან ფლომის საყურელებად, გამუდმებული დავა იყო, რომელი არბის მსურველები გამიარჯვებდნენ და უმარავლესობა რას გადაწყვეტდა, რისთვის ყუერებინა. იქ იყო ჭბუბა ანირჯუბი და ჩვენ, რამდენიმე ქართველი მწერალი, ფეხებოლის საყურელებად მივიდით, თბილისის „დინამოს“ თამაში უნდა გვევანახა, მაგრამ რამდენჯერაც გადავართეთ თბილისის არხზე ტელევიზორი, იმდენჯერ ნამოვგიბტა ერთი რუსი მწერალი და მოსკოვზე გადავართო. სამჯერ განმეორდა ასე. ბოლოს ჭბუბა ადგა, გადართო იმავე არხზე და გადავართო ის ტიპი, ხელი არ ეხლო, თორემ... რუსი ისევ ადგა და ტელევიზორისკენ გავმართა, მიედა, გადართო მოსკოვზე და მშვიდად დაბრუნდა თავის სკამისკენ, მაგრამ სკამთან გზა გადაუჭრა ჭბუბამ და რომ დააკერა სიფათში, ტიპი სადღაც გაფორინ-

დასასრული იხ. „ჩვენი მწერლები“, 9, 10, 11

და და ძირს დაედნევა. ამ შემთხვევის მერე ტელევიზორთან ქართველები გაბატონდნენ. თუ არ ცვდებოდა, რუსმა მწერალმა იჩივლა, მაგრამ ნავალოვარ ტაბის ეს ნაკლებად აფიქრებდა, იგი უფრო თავის შვილზე, ირაკლი ამირეჯიბზე დადიობდა, უფრო სწორად, მისი ბები აფიქრებდა, რადგან ჩრდილმეტრ ნიღის ყმაწვილს, უღამაზესს, ტანადს, გამორჩეულს, გოგოები, არა მხოლოდ რუსები, მოსვენების არ აძლევდნენ და კუდში დასდევდნენ დღედაღამე.

ირაკლი ამირეჯიბი აფხაზეთისთვის ბრძოლაში თუ დაიღუპებოდა, მაშინ ვინ წარმოიდგენდა.

ბიბლიოთეკაში ჩაწერა გადაწყვეტილ დასავლენებულ სახლს თავის ბიბლიოთეკა შექონდა და მივადები ბიბლიოთეკარს. შეეხვედ, ქართველმა და მეც ქართველად გამოველაპარაკე. არ მიპასუხა. რომ გავეშვირე ოდნავ გაღიზიანებულმა ისეც ქართულად, გამაფრთხილა:

— შე აფხაზი ვარ, ქართული არ ვიცი. თუ რამე გინდათ, რუსულად მომხარეთ.

რუსულად მივმართე. დანიყო ფორმულიარის შევსება, გვარი მკითხა. უპასუხე. მერე მეც ვკითხე გვარი.

მიპასუხა, — მებრეველიო. ვიფიქრე, მომიყურა და გავამოვრებინე.

- მებრეველი.
- რაჭველი ყოფილხართ.
- ია აფხაზუკა, ი ტოკოკა
- რამდენი ტოკოკაც არ უნდა დაუსვა, შენი წინაპრები ქართველები იყვნენ.

— ია აფხაზუკა, ი ტოკოკა...  
ზიზი, მისი თვალბედად რომ გამოკითხავა, არასოდეს დამაინიფებდა. დღემდე ვერ გავრკვეულვარ მებრეველის, ნურთაღის, ქაჯეკაბის აფხაზობაში. როგორ მოხდა მათი გადახარბა? თუმცა, რა ვისაკვირა, ოდითგან ასე იყო, გადასაბღღებოდა ოჯახი კუთხიდან კუთხეში და იცვლიდა მენტალიტეტს და კილოს, იქაურ ნებს ითავისებდა, მაგრამ ასეთი სიძულელი საკუთარი წინაპრების მიმართ არსად მენახა. დროდდრო მინეცდა ბიბლიოთეკაში სიარული და უსიტყვოდ ვურთიერთობდი ქალბატონ მებრეველთან. მებრეველი ნაკითხულ წიგნს, ვორივედი ნასაღებს და ხელს ვანერდი.

ერთხელაც გადაკრული ვიყავი და წავეკითხაოფ:

— ზდრავსტუტიტე, ტავარიში მებრეველა.  
გაცეცხლდა, მაგრამ რა გაცეცხლდა.

— ია, მებრეველი, ნე მებრეველა. ია, აფხაზუკა, ი ვსიო.  
რამდენიმეჯერ შევანეცხიბე საუბარი და ვუმტკიცებდი, რომ იგი მებრეველა და არა მებრეველი, ხოლო თუ მებრეველია, მაშინ რაჭული წარმოშობის ქართველია. ბოლოს ისე გამწარდა, რომ ბიბლიოთეკა ჩავეჭი და სადღად გაუჩინარდა.

ამისთანაში შემატყობინეს, რომ კლუბში მყოფებიან გელა ჩარკეიანი და ბელა ახმადულიანი, როგორც ახალი სიმღერის ტექსტის ავტორს. კლუბში რომ შევედი, გაკვირვებულად დავჩირო, რადგან დავინახე რამდენიმე ცნობილი და უცნობი დამსვენებელი, სიმღერის პრემიერა რომ მოსულყვენენ და ელოდნენ პირველ შესრულებას.

საკმაოდ სიმპათიური სიმღერა გამოვიდა, გელა მშვენიერად უკრავდა და მღეროდა. ბელამ მორიდებული, უხმო ტაქტი დაუკრა შემსრულებელს და მუსიკის ავტორს და დაინტერესდა სიმღერის ტექსტით. გელამ უთარგმნა: ბე-

ლა მივმართება ყოველ დღითი კაფემი ასი გრამის დასალევად და იქნება ხალისიანი ბრუნდება, რომ ისეც მოუნეს იმავე ზეს გავლა, თავის ოთახს და კაფეს შორის დარომ შეუწინაშეად გადის დრო, რომელიც მზესთან ერთად გამსჭვალავს სხეულს და ალკოჰოლი ამღვრებს ძარღვებს. ტექსტის თარგმანი რომ მოისმინა, ბელა სახე შეცვალა, შევატყე, არ ესაიამოვნა ყურადღების გაბაზებულმა მის მავნე ჩვევაზე, მაგრამ სიტყვიერად არ გამოუხატავს თავის უკმაყოფილებას. ერთხანს მდუმარედ იჯდა, მერე მადლობა გადაუხადა კომპოზიტორს, რატომღაც მე ხელი ჩამომართვა და გავიდა კლუბიდან.

დავინახე, როგორ მივმართებოდა იმავე კაფესკენ ბელა ახმადულიანი, ნელა, ტაპატი, ნაბიჯაუქარებლად, ისეთითვის დროს ერწყმოდა, რომლის არც ატყარება და არც შენელება არ სურდა.

ჩემს ქალიშვილს ცურვას ვესანავლიდი. მალე ისინალა და ვიდრე გვერდით ცვაფიდი, იმდენად ცურავდა მცირე დისტანციაზე. ცხრა წლის იყო და გაუთამამდა ზღვას. მე ნაპირიდან მომლოდინედი ცურავდი, ხათუნა ნაპირთან დაეტოვებდა და გააფრთხილები, ვიდრე არ დაებრუნდებოდი, იქ დამლოდინებოდა... ზურგზე ვინეტი და ასე ვტიტყვებდი. მოულოდნელად შემოღებულე შეძახილები შემომესმა, გადმოვბრუნდი და ნაპირისკენ გავიხედე. ბედავ, ვიღაც ბავშვი ჩაყინითავს ზღვაში, მერე ამოყვინითავს, ნაპირზე ხელუბს იქნევენ და ყვირიან. მოუვსე მხარული და გაუჭყერი ბავშვისკენ. ვიგუხახლოვდი. ბედავ, ჩემი შვილია გასაჭირში, თმამი ვსიტაცე ხელი და ნაპირისკენ წავეყვანე. კედე კარგი, ნაპირთან ახლოს იყო და მალევე ამოყვანე და მოგასულიერე, წყალიც იმდენი არ შექონდა ნაყსაჰა და ცხადვრიო. როგორც მერე ბავშვმა მიამბო, მე ვამბობდა გარეთი. მერე, რომელიღაც მომენტში, ფეხით ფსკერი მოუსინჯავს და, რომ ვერ აღმოუჩენია, შემინებულა და დაუსყნა ჩაძირვა. ლეთის მადლით, გადავრჩიო.

მაკა ჯოხაძე და კაკო მინდიაშვილი ისვენებდნენ ჩვენთან ერთად და მე და კაკო, არც თუ იშვიათად, ვითვსობოდი ლუდხანაში და ვსაუბრობოდი თავს რამეზე. უცნაური სულიერი ძიშობა გაიბა ჩვენს შორის, თუმცა ჩვენი შეუღლებიტი კმაყოფილება არც მაკა იყო და არც ჩემი ნაკულღე.

დღის თორმეტ საათზე კატარა უნდა გასულიყო ჩვენი დასასვენებელი სახლის ახლომდებარე ნაპირიდან ბიჭვინთისკენ. საზღვაო სკიროზმა ერთ საათს გასტანდა და მსურველებიც სწრაფად შეიკრიბა. მე და ჩემი მეგობრთაღ ავედიტი კატარაზე, მსუბუქად რომ ირჩებოდა. ჩემთვის მაშინ, ისევე, როგორც დღეს, უცნობი იყო, რას ნიშნავდა სიტყვა დასვენება. უსაქმოდ ყოფნა არ შემეძლო და მოცალაობას, როცა რამეზე ვაბმულად ვფიქრობდი, ვერ აღვიცქარებდი, როგორც დასვენებას. ვიცნობ ადამიანებს, რომლებსთვისაც დასვენებისთვის განკუთვნილი დრო მთელი რიტუალია და დასვენებას ისე ვეციებოდა, როგორც განსაკუთრებულ პროდუქტს, რომელიც ბოლომდე უნდა მივირგო სხეულისა და სულის გასალეველად და ნუთომ არ უნდა დაკარგო დაუსვენებლად. ისე ვეციებოდი, რომ ვერ ვავიგე, რას ნიშნავს დასვენება, რადგან ყველაუკარგი დრო ისაა, როცა სასურველ ფიქრში ხარ ჩაირული ანდა სასურველ ადამიანებთან საუბრობ სანტიკრესო თუ



მეზუე, ან როცა მაგრად გიყვარს, მოკლედ, როცა დრო სახის იქნება და არ არის ცარიელი, ისე, როგორც ჩემთვის სიტყვა დასვენებაა.

ამას წინათ აქ დამსვენებელ ქაბალტორს, რომელიც ქალიშვილებს ერთად ისვენებდა, ქაბალიტორად და დედოფალი, ცხადია, დაბრუნდნენ შინ. ნასვლამდე მოვიწინაულები და მივუსამიძირეთ. მერე ისინი გადავავიწყვდა და ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა რამდენიმე დღეში უკან ჩამობრუნებული ჭირისუფლები დაინახე სასაფლაოში, მაინადაც რომ შეექცეოდნენ ჯერ წვნიანს და მერე კერძისთვის ემზადებოდნენ. როგორც გაირკვა, ხუთთოთხედ დღე კიდევ ჰქონდათ საგზურადან დარჩენილი და ხუთდღიან დასვენებას, რამაც ფული გადაიხადეს, არ დაკარგავდნენ, მითუმეტეს, მზეზე გარუჯვისა და ზღაბზე ცურვის დაკარგვა ხომ წარმოუგეგნელი იყო მათთვის. ამ ხალხისთვის უცხო იყო ქართული გლევის ტრადიციები და სხვა ღირებულებები ცხოვრობდნენ, რაც ჩემში გაკვირვებას იწვევდა...

კატარა გავიდა თუ არ ზღაბმა და საქაოდე მოშორდა ნაპირს, დღეღინების მთელი გუნდი აჯემგზავრა, იგდა ბავშვების ერთმსული და დიდების გნისი, შეძახილები. კატარაზე ბარი მეგულუბოდა და კიბეს ქვემოთ ჩაყვევი, ბიჭიც წამოყვავ. მართლაც ბარი აღმოჩნდა და ბარმენს ბავშვისთვის წვენი, ჩემთვის კი „მაგარი“ დავუტყვეთ. იქვე ზღადა ახმაფლინა აღმოჩნდა. უკვე წასვამი იყო და ვერ მიხვდებოდა კაცი, სხეულით გემის წრეებსა ჰყვებოდა თუ თრობის შინაგან კარნახს. წინ მთელი ბოთლი კონიაკი ედგა და დაბატევიანს აზრი არ ჰქონდა. ჭიკ მომიხატება, გამსახურება და სიტყვა აფხაზებზე ჩამოაგდო. მერე შევეკითხა მოზღოძეობით:

— რას ერჩით აფხაზებს ქართველები, რატომ ავიწროებთ, ჩაგრა? არ გეყოფილი?

ყველგამრ ამას ისტერიალი ინტონაციით ამბობდა და გული შესტკოდა აფხაზურ ეთნოსზე, რომელიც, მისი თქმით, დამორჩენილი გვყავდა ქართველებს. ჩანდა, რომ ვიღაცამ ან ვიღაცებმა დააბოლეს და ამანაც დაიჯერა.

შევეცადე, მშვიდად ამესხნა, რომ ვიღაცამ მოატყუა და ეს ასე არ არის, და თუ არსებობს რამე კონტრეტული მაგალიტი, გაიხსენოს არგუმენტად.

— რა საქართო არგუმენტი? მე მიიბრეს, რომ თქვენ, ქართველები, ჩაგრავეთ აფხაზებს და ეს უკვე არგუმენტიცა. ზღადა აღელვებული აგრძობდა თავის ისტერიულ მონოლოგს, მერე შეისვენა გადაჯკრა შორევი ჭიკა და ისე, რომ თითონ ვერც კი შენიშნა, ვერსებში დაუსვლელა. ბავშვმა რომ ეს დანახა, ერთი ამაზე ატეხა. ბიჭი ვეცადე, გამეუშვებინა, მაგრამ ამაოდ, მთელ კატარას მოსდო ეს ამაგი, მოკლედ, ჩაიაფსა.

გაგრამი დაბრუნებულს უსიამოვნო შეგრძენბა არ მოკლედ. ეს შესანიშნავი პოეტი მიჯაჭვული იყო ალკოჰოლზე და მისი მოტყუება ან გადაბრუნება ნებისმიერს იოლად შეეძლო. მაგრამ ერთი რამ, რაც დღემდე მაკვირვებს, რუს მწერლებს, თავს რომ საქართველოს მეგობრებს უწოდებდნენ, არასდროს არც ერთი სიტყვა არ დასცდენიათ ჩვენს დასავადად, ღია ექსპანსიის დროსაც კი, არც ძალიან გულდასაწყვეტია. გამაოდი, რომ რაგოზინი და ევტუშენკო, ახმაფლინა, ვოზნესენკო, ჟირინოვსკი ერთნაირად ფიქრობენ, როცა საქმე საქართველოს შეეხება. სა-

ქართველი მაშინ იყო საყვარელი მხარე, როცა რუსეთის შემადგენლობაში იგულისხმებოდა და „მერანის“ რუსული რედაქცია გამოსცემდა მათ უზარმაზარ წიგნებს და ასევე განსაზღვრული ოდენობის შორარი და ღებულობდნენ, და აფხაზებში ავარკსაც იმუნება ევტუშენკო, ხოლო ვოზნესენსკი შორეული ქართველი წინაპრით ამაყობდა და მას პოემასაც უძღვნიდა.

როგორც ვარტყე, დამოუკიდებლად, საქართველო აღარაა „საყვარელი მხარე“ და, საერთოდ, წარმოუდგენელია მისი ურუსეთოდ არსებობა... და სლრსკა და ახმაფლინა ამ საკითხში ერთნი არიან.

„რომ კომუნისტის სახელი გარკვევა...“

სამოცდაათიანი წლების მიწურულს, თითქმის იმ პერიოდში, როცა ქართული ენის სახელმწიფო ენად დატოვების საკითხი წყვეტიდა, დაიბეჭდა და შემდეგ სიმღერად გადასა მთავარი ნიშნისთვის ლექსი „კომუნისტი“. პირველად რომ წავიკითხე ეს ლექსი, გაკვირვებული დავრჩი, არ მოველოდი ამ ბრწყინვალე პოეტისგან ასეთ გაუგებარ კომპრომისს, მისგან რომ არავინ თხოულობდა და თვითონ რომ დასჭირდა ცხოვრების უკეთ ასანყოზად. ბერე კონიუნქტურული ლექსი იწერებოდა, რომ დედამისი მოჭარაბეს ლენინის განვიდელი ხელის მიმართულებით(მიხეილ ქალიშვიდი), რომ დრო გაასწორის მსოფლიომ კრემლის საათზე(შთა ხეთაგური) და ა.შ. მაგრამ ნიშნისმიესგან ბერეისთვის მოულოდნელი იყო ასეთი თანხი, თან ვავტებარი და მიუღებელი სინთეზი საქართველოს ისტორიისა და კომუნისტური იდეოლოგიისა.

დიდ კლდეა არ უნდა, რატომ გადადგა ასეთი ნაბიჯი და რატომ გამოიყვანა ახალი მიმართული ჯიშის ლექსი, რომელშიც ეროვნული და საბჭოთა პატრიოტიზმი აღუფხულია, გადახეული, და აბსურდული სიმბოლო შესთავაზა ქართველ მკითხველს, როგორც სამაგდიო და სასაღუმო ლექსი, რადგან ყველგან, სკოლებში და შერეობებში, რადიოსა თუ ტელევიზიაში ეს ლექსი ისმოდა. ან მსახიობი თეატრულად, ან მომღერალი ასრულებდა ამ ლექსზე დაწერილ სიმღერას. პოეტიც, კომპოზიტორიც, მსახიობიც, მომღერალიც ერთ დაკვეთას ასრულებდა და სარგებელს ყველა ღებულობდა განსხვავებული დიხით. შთავარი იყო საბჭოთა იდეოლოგიის ხრწნის სუნე გადაუფართო მსგავსი სურგატებით და ეს ქართული რენესანსის ავტორის მეფოლოგიურ გამარჯვებად ითვლებოდა.

მთა ნიშნისმიე, როგორც ვთქვი, შესანიშნავი პოეტი იყო, მაგრამ მისი ნაბიჯი, გადაწყვეტილება გარკვეულ შეფასებას მოითხოვს. იგი და მისი გულშემატკივრები თვლიდნენ, რომ ის, როგორც პოეტი, ნაკლებად იყო დაფასებული იმ სახელებთან შედარებით, ვისაც პარტიულ და არაპარტიულ კლასტრ ნრეებში მენიანავ რაგები ჰქონდა დამკვიდრებული, და შეეცადა, ან ნაბიჯით გადაეჭარო ყველა მთავანისთვის, ყურადღების ცენტრში მოხვედრილიყო, მათვე მის პოეზიას უკეთ შეფასებდნენ და ქარაქუცა ავტორებზე ვეღარ გადავლებდებოდნენ. ასევე დარწმუნებული იყო იმაშიც, რომ კონიუნქტურულ ლექსის, იმიტომ რომ უფრო ნიჭიერი იყო, ვიდრე ცნობილი საბჭოთა „პიმიზრადივი“, გაცილებით უკეთ დანერდა და უფრო



აქტუალური გახდებოდა, რასაც უნდა მოჰყოლოდა თანამდებობრივი ნიხსვლა და მატერიალური უზრუნველყოფა. ყველაფერი დათვალა შპონდა და მესარსულა კიდევ, რაც ჩაიფიქრა, გადაუსწრო კიდევ სხვა დანაწარმებულ კარის მებოტებებს. მოვლანებით მწერლობა კავშირის თავ-მჯდომარეც გახდა, საბინაო პრობლემებიც გაიუმჯობესა, მაგრამ ერთი რამ ვერ გაითვალისწინა — საბჭოეთი, თავის რეჟიმით და დამაყვებელი იდეოლოგიით, ხრნანს ამთავრებდა. ეს გამოჩნდა კიდევ ამ ლექსის დაწერისას რამდენიმე წლის შემდეგ და უსატიყბელ შეცდომად ჩათვალეს ეს ქმედება მისივე თავყანისმცემლობა და კოლეგებმა, მითუმეტეს, ოპონენტებმა.

ნიშინაინძის ლექსის სიმბოლური იდეოლოგიიდან ისე გამოდის, რომ პავლიკ მორხოვის და ცოცხალ დადანიის იდეოლოგიური ნაშევი უნდა ელიარდისა და ერნდუნა ქართულ ხალხს ან, სულად, ულიაროვისა და თევდორე მღვდლის იგივება უნდა გაგვე ზიარებოდ. ლექსის სემანტიკა თუ გავყვებით, იოანე პეტრინიც და აიონიელიც შესანიშნავი კომუნისტები იქნებოდნენ. ან როინად უნდა ჩათვალათ პოეტის ეს სურვილი, ან უნაინაო უზენიობად, რომლის დაფინყებაც შეუძლებელია. საქმე ის გახლავთ, რომ იყენებ მებოტებები, რომლებიც დაიბოლმუნენ, რადგან შოთამ აჯობა ყველას ერთად და იქცა კარის პირველ პოეტად, უკან ჩამოიჭოვა მამინდელი უპირველესი მებოტებები და გამწარდნენ კიდევ ვილაცები. მე კი ერთი რამ მაკვირვებდა, რა დროს საბჭოეთის მებოტებობაში შევიხიბო იყო, როცა საბჭოეთის დაღლიადად დღეები იყო დაწერნილი და შეუიარაღებელი თვალით ჩანდა, რომ თუ ამ პირველი-გისა ემსახურებოდით, მხოლოდ იმიტომ, რომ უბეზილდუ-მეგობი ყოფნა, გამოჩინება და უსუთ ცხოვრება გინდოდა, ხვალინდელ დღეზე არ ფიქრობდნენ ისინი, ვინც დღეს თავის იმართლებს, სხვა დრო იყო.

იმ დროს მწერალთა კავშირი გავლენითი კანტორა იყო და თანდათან იქცა კიდევ ფულის განსათორებელ ოპორტუნულ სივრცედ, განსაკუთრებით 90-იანი წლების დასაწყისიდან, თითქმის ბოლომდე, ვიდრე იქაურმა ანაქრონიზმმა სულ არ განრქვევა.

„კომუნისტები“ რომ დაწერა და გამოაქვეყნა, უცხად იქცა შოთა ნიშინაინძე ყველაზე საყურადღებო და დაფასებულ პოეტად, არა იმიტომ, რომ მის ლექსებს იცინოდნენ პარტიული ფუნქციონერები, არამედ იმიტომ, რომ იმ ხანებში ცეკაბი მიიწვიეს იგი და წარდგა შემოქმედებითი ანგარიშით ბიუროს წინაშე. ინაურსაც შეუქცია, უთქვამს: „ბუდეშ პროპაგანდიროვაც ტეტოო პოეტა“. თავისიანად ჩათვალეს, იმ დღეზად წარმოიდგინეს, გახრწნილ და დევლავირებულ იდეოლოგიას რომ შეკრავდა. შევლოლოგიური იდეოლოგია კომუნისტური რეჟიმის ალირბინებისკენ იღებდა გესს და ან გზაზე, ამ გზის ვასავლელად, პოეტის მხარდაჭერაც ჭირდებოდა. შოთა ნიშინაინძე უფრო გამოაადგა, ვიდრე მის, ადრე რომ ემსახურებოდა შევის და, მის კოესისკენ რომ წავიდა აქუარი პირველკაცი, სალანძღავი ლექსიც მაიყალბა პატრონზე გულდაწყვიტობა და დაბეჭდა კიდევ გახუთ „კომუნისტში“. რა იცოდა, რომ დაბრუნდებოდა, თორემ ამას არ ჩაიდენდა. დაბრუნდებოდა, თორემ ვერ შეურთავდებოდა, უკან ვერ წაიღებდა თავის სიტყვებს!

მინდა, ყველას მიმტკიცებულურად შევხედო, მაგრამ არც ისე მიმტკიცებულურად, უზნებობა რომ ვაპატიო და დავივი-

ყო, არც ის შევახსენო, თევდორე მღვდლისა და ლენინის იდეოლოგიის იგივეობას რომ უმტკიცებდა ქართულ ხალხს. ისე, კაცმა რომ თქვას, ეროვნული და საბჭოთა კომუნისტური პარტიოტიზმის ნახევარ, თუმცა არ იყო ასე ჩაფიქრებულად, სრულ პაროდიად იქცა და ნებისმიერ გონიერ ადამიანს ღიმილს ჰგვირავს, ზოგი კი სერიოზულად ბრაზობდა ამ სისულელის გამო, როცა სკოლის სცენაზე მთელი გულწრფელობით გააკვიროდნენ სამეგობო ამ ყველაზე არაგულწრფელ და გულსამრევად ნიშინაინძე ლექსს.

გიორგი ციციშვილის რომმას სათაურად ერქვა „სძლიე სისაბრესა შესნა“. ეს ბიბლიური შეგონება კომუნისტურ კონტექსტში გადაეცანათ და ახალი „ქართული რენესანსის მამა“ მარჯვედ იყენებდა სათავისოდ ყველას და ყველაფერს, რისი გამოყენებაც შეეძლო.

სისაბრეს ვერ სძლიეს, პირველობის ტინს ვერ სძლიეს და ახლა თუ პირველები უკან აღმოჩნდებიან, არც ეს უნდა იყოს გასაკვირი.

„თვითმფრინავის ბიჭების ამბად“ ცნობილმა ტრაგედია ბერი რამ გამოაპკარავა. უსასტიკესად დასავსა ყველა მონაწილედ, მათ შორის, სრულად უშიშეზოდ, მღვდელიც, როგორც იდეოლოგიური ხელმძღვანელი, თუმცა საამისო მტკიცებულება არ გააჩნდათ, იგი ხომ თვითმფრინავში არც იმყოფებოდა.

მამინ საქართველო ორ ნაწილად იყო გაყოფილი — „თვითმფრინავის ბიჭების“ მომხრეებად და მონიშნალმდებლებად.

ნებისმიერ ქვეყანაში მსგავსი ინციდენტი დანაშაულად ითვლება და ისევეა შესაბამისად. მაშინდელ საბჭოეთში რეჟიმის მონიშნალმდებელი ღამის ამირიბოდნენ ყმანებლობის საქციელს, დაუფიქრებელ და თავგანწირულ ნაბიჯს და საბჭოური სასამართლოსგან ლიბირებას ითხოვდნენ. მათ კი სამავალითად დასავსეს მოიბრძნო, რომ საზოგადოების საგრძნობ ნაწილში შენიშნეს ანტისაბჭოური ქმედების მხარდაჭერა, რამაც გააღიზიანა ადგილობრივი და საკავშირო მთავრობის პირველი პირები და „შეულოლოგიური რენესანსის“ დასაცავად, საკუთარი მოძალდის განსამტკიცებლად საჭირო იყო სასჯელის უშალელი ზომა.

„რომ კომუნისტის გვერქვას სახელი, ყველა ორდი ვართ ღირსნი?“ — რამდენიმე წელი რჩებოდა 9 აპრილის სახელად დაბეჭდვად მერე ერთი ნაბიჯი ნანატრ თავისუფლებამდე, რომელიც ჩვენვე ვაქციეთ სისხლიან აბსურდად.

**დადანიის ქარა №2**

ჩემთვის დაუვიწყარია ამ შემობაში ვატარებული დღეები. როგორც გითხარით, ერთად იყო განათავსებულ მხატვრული თარგმანის კოლეგია, „მოსკოვი“ და „საქრუე“. ბევრი მნიშვნელოვანი მწერალი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე საქმიანობდა ამ დანესტრელებებში და ისინი, თუმცა გამიჯნვლები იყვნენ ფუნქციებით და იურიდიულად, მაინც ერთ დიდ საქმეს აკეთებდნენ და თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან. თანამშრომლობა შემოქმედებითი იყო უწინარესად და მირადა ურთიერთობები კი ახლოდღერა, როგორც თანამოაზრეებს შეეფერებოდა.

ლიტერატურული ურთიერთობისა და მხატვრული თარგმანის კოლეგიაში უამრავი საუკეთესო ჩანაფიქრი





განხორციელდა და ეს შენობა, ეს სტრუქტურა, იქ არსებულ სიტუაცია, სანატრელ ოახოს დაემსგავსა თავისი ყოველდღიური ფუნქციით, სულისკვეთებითა და სასურველი საქმისადმი ერთგულებით.

გაეროს ჩამოთვალს არ შეუდგებოდა, რადგან ვერ შევძლებდნენ სრულად გაეისვენო ყველა ავტორი თუ მთარგმნელი, ვინც ამ შენობაში მუშაობდა და თანამშრომლობდა. ასევე შეუძლებელია იმ განხორციელებულ დიდ საქმეთა აღნუსხვა — რა გამოქვეყნდა და რა ჩიკრიგა არქივში.

კოლევიაში საქმიანობდნენ მამინ ახალგაზრდა მწერლები: თამაზ ბაძალა და ანდრო ბუაჩიძე, ბათუ დანელია და ბადრი გუგუშვილი, დათო ზურაბიშვილი.

„ცისკრის“ შემადგენლობას შემოემატნენ ვახტანგ ხარჩილაძე და ზაურ კალანდია, ზურაბ ნარმანი, ლაშა ნადარეშივილი, ელზა მეტრეველი, ლია შარვაშიძე, ეთერ ბალიაშვილი. ძველთაგან უცვლელი რჩებოდა ზანა თვარაძის შამიდა, რეზის და — ეთერ თვარაძე, შესანიშნავი ქალბატონი და მომხიბლავი, ქვიანი ნანა ჯაფარიძე და სხვები. ხშირად მსტუმრობდა დათო კვიციანიშვილი, ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტი და გულითადი ფუნქციონირებელი ბოლძე მის ლექსებზე და საერთოდ პოეზიაზე. სამწუხაროდ ტრაგიკულად გარდაიცვალა იგი სრულიად ახალგაზრდა და სამუდამოდ დამამახსოვრდა მისი რიდით აღსავსე მწერა, შობამეჭვადეი ხმის ტემბრი. ამ ბიჭს ბევრის გაკეთება შეეძლო, მაგრამ არ დასცალდა, ამ იქნებ თვითონვე არ მოსურვებდა, რომ დასცლოდა. მიჭირს ამ თემაზე საუბარი, მაგრამ ჩემს მეხსიერებაში ჩარწა მტკივნეულია.

მთარგმნელობით კოლევიაში მუშაობდნენ: ტარიელ ქანტარია, ბაჩანა ბრეგვაძე, ზურაბ კვიციანი, თამაზ ჩხენკელი, დათო ნერვიანი. ვერძალ აჯიანიშვილი, ელზა ახვლედიანი, ნოდარ ებრაღიძე, გიორგი (ოურა) ბაქანიძე, ნინო გელაშვილი, გივი შაპანაზარი, ლილი მეჭედლოძე, მზია გელაშვილი, ზუგა მედულაშვილი, ლალი ბრეგვაძე, შადიმან შაქანიძე, ნათელა გავაშვილი, ოტა ბედიანი, ასმათ ბეშიძე, ასმათ ფიცხელაური, მარია ნახუცრიშვილი, გივი ორაგველიძე, ავთო ჯოზაძე, ნანა დევიძე, მაია ჯორჯაძე, თამარ შამილი და რამდენი ერთი ჩამოვთვალო, არ ვიცი, რადგან კოლევიასთან თანამშრომლობდა ყველა, ვისაც რაიმეს ხეირიანად თარგმნა შეუძლო.

შეუძლებელია აღნუსხოს, რა ითარგმნა და რა გავაქოდა მამინ კოლევიაში. მხოლოდ ერთს ვიხსენებ. ნინოა გელაშვილის ინიციატივით და ითარგმნა ნოდის მხარდაჭერით, გადაწყდა რილკეს მრავალტომეულის თარგმნა. შეიქმნა რილკეს მთარგმნელთა ჯგუფი, „რილკეს ქვერის“, როგორც ვახუშტი კოტეტიშვილმა მოვიანებით შეარქვა ნინოა გელაშვილს, რადგან რილკეზე ზრუნვის გამოორჩევიდა


ყველასგან, ზელმძღვანელობით. ამ ჯგუფში შედიოდნენ მთარგმნელები, რომლებმაც გერმანული კარგად იცოდნენ და მთარგმნელები, ძირითადად პოეტები, პწარედოდან რომ მოუწევდათ ლექსების თარგმნა და თან თითქმის ყოველ გაუგებარ სტრიქონზე ნიარასთან კონსულტაცია ტექსტის დასადგენად. არც თუ იშვიათად შეუძლებელი იყო ზოგიერთი მხატვრული სახის, ნოთულის, მინიმუმის ზუსტი ამოცნობა, რადგან რილკე წერდასი პოეტები და ორსინი, ზოგჯერ სამმავე კოდირება ჩვეულებრივია მის ტექსტში.

რილკეს ჯგუფი, რომელსაც — ნინოა გელაშვილი ხელმძღვანელობდა, ითარგმნა დასასაჩუქრა მიჭვირითი ლიტონდის სახლის საგზურებით და გვემგზავრეთ აფხაზეთის ულამაზეს ადგილას, სადაც რილკეს თარგმანზე უნდა გვემუშავა.

უღრმად ვეზოტიკურ გარემოში, სადაც თვალი და ყური უნებლიეთ სხვაგან ვარბის და სხვაგან ქრის გუნება-განუკმობლება, საცაოდ ძნელია რილკეს თარგმანზე ფიქრი, მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, მეძლებინადავგვარად სამუშაო ვითარება სუფევდა და საქმეც ნინ მიინევდა. რილკეს მთარგმნელთა პირველ ჯგუფში, ითარგმნა რომ მიჭვირითი გავგამგზავრა, შედიოდნენ — თამაზ ჩხენკელი, ვახუშტი კოტეტიშვილი, ვერძალ აჯიანიშვილი, ასმათ ფიცხელაური, ზუგა მედულაშვილი, ნინო დარბაისელი, ლია ჯაფელი, მზია გელაშვილი, ნათელა ხუციშვილი, ნანა გოგოლაშვილი, ხათუნა ცინცაძე, თამაზ ბაძალა და მე. და, რაც მთავარია, ჯგუფის დიასახლისი და ზელმძღვანელი, ნინოა გელაშვილი, მწელია მოსაყვალადც კი ნიარასა და ვერძალ აჯიანიშვილის ურთიერთობაზე, ამიტომ ადარ გავცეპვი დეტალებს, ვიმედოვნებ, ვინმე სხვა დანერვილებით აღწერს იმ დღეებს. როგორც ახლა აღვიდგინე მეხსიერებაში, რილკეს ჯგუფი მიჭვირითი პირველად 1984 წლის ივნის-ივლისში შეიკრიბა. ჩემთვის ძალიან ძვირფასია თამაზ ბაძალას და ჩემი ერთად ყოფნის და მეგობრობის ამ ეპიზოდის გახსენება, თბილისური ურთიერთობების შემდეგ.

